ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№40 (1478) 2-9 სექტემბერი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრეზიდენტი ჯიუტად ეწინააღმდეგება კანონს

ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო. რამდენიც გინდათ უსაბუთეთ, რომ უკანონო სახელი „ოსეთი“ საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად გაუქმებულია, შევარდნაძე კვლავ ხმარობს გამოთქმას „სამხრეთ ოსეთი“, რათა ჩვენი ქვეყნისგან მისი ერთი ცენტრალური ნაწილის მოწყვეტა მოამზადოს ათი, ოცი ან ასი წლის შემდეგ. რისი იმედი აქვს? ჩვენი სიბრმავის? უძლურების? ხელოვნური შიმშილისაგან გამოწვეული გულგრილობის? ალბათ, მაგრამ იმედი ზოგჯერ ატყუებს კაცს. ლუი მეთექვსმეტეც ამბობდა „ჩემს შემდეგ თუნდაც წარღვნაო“, რადგან იმედი ჰქონდა, რომ თავის სიცოცხლეს მშვიდობით დაასრულებდა. მაგრამ წარღვნამ სიცოცხლეში მოუსწრო და ძირითად ბრალდებად ის ჰქონდა, რაც საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის მოღვაწეობასაც ყველაზე კარგად მიუდგება — უცხო ჯარის გამოყენება საკუთარ ქვეყანაში ტახტის შენარჩუნების მიზნით.

მუყაითი შრომით ქართველი ერი დაძლევს შიმშილობას, რაც უნდ ეცადონ ესა თუ ის ხელისუფალნი, ქვეყნის ეკონომიკა დათრგუნონ, ძალასაც მოიკრებს და თავის ტერიტორიასაც დაიმკვიდრებს ერთხელ და სამუდამოდ. პასუხსაც მოსთხოვს ყველას — პრეზიდენტი იქნება თუ პარლამენტარი — ვინც მისი მიწა-წყლის განიავებას დღეს ხელს მოაწერს.

ნოდარ ნათაძე

## და საქართველოს საარსებო ინტერესებს

# ქალთა და ინტერესთა განლაგება კავკასიაში

მეორე გვერდი

# «ბატია» თბილისელი კაცია თავისი ისტორიით

თენგიზ კიტოვანი

მესამე გვერდი

# უდანაშაულო მამა, უდანაშაულო შვილი!

პასუხად თენგიზ კიტოვანს

## ჩუმად! ნუ გააღვიძებთ კიტოვანს!



შენ, ჩემ თავმკვდარო! შენ, ჩემ თავმკვდარო ბატო! როგორც იქნა გამეცი ხმა, როგორც იქნა ისევ გაიბრწყინა შენმა ნიჭიერმა კალამმა!

ბატია! რაც უფრო მეტს დაწერ, მით უკეთესია. შენ შეიძლება ჯერ არ იცი, რომ მე მივმართე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შემდეგი წინადადებით: ვინაიდან არსებობს სამეცნიერო დარგი — რუსთველოლოგია, აუცილებელია შეიქმნას სპეციალური ინსტიტუტი და მეცნიერება — კიტოლოგია. შენი ლიტერატურული და მემუარული მემკვიდრეობა დაწვრილებითი ანალიზისა და შესწავლის ღირსია. ცხადია, ცალკეული ინსტიტუტები და აკადემიები — თავისი პროფილის შესაბამისად გააჩაღებენ მუშაობას შენი ღვაწლის შესასწავლად — მაგალითად: სამხედრო აკადემია შეისწავლის კიტოლოგიის უმნიშვნელოვანეს დარგს — „სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა თბილისის პირობებში, აფხაზეთში“ და ა.შ. იმედი მაქვს, მეც რაღაც მერგება ამ მხრივ — შეიძლება დოქტორის წოდებასაც გამოვკრა ხელი — ა, როგორ იჟღერებს — კიტოლოგიის დოქტორი!

წერე, ბატია, წერე! ჯერ დაწყებულ საქმეს მივიყვან ბოლომდე, შემდეგ კი ერთ წერილს ცალკე მივუძღვნი შენს თეორიას „კაცობის კოდექსის“ შესახებ. ვნახოთ, რა გამოგვივა ერთობლივად.

ახლა კი საქმე!

წინა წერილი დავამთავრეთ ბატიას განცხადებით, — ვერ ვარ კარგად, ნერვები მღალატობენ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადამიყვანეთო. მერე რა, უსმენს ვინმე? ადგა ბატია და შემდეგი განცხადებაც გააშანშალა:

„1969 წლის 15 ნოემბრიდან ვიმყოფები პატიმრობაში. ამ ხნის განმავლობაში გამიახლდა ძველი ავადმყოფობა, რის შესახებაც ორი განცხადებით ვაცნობე გამომძიებელ კუპრავას და საგამოძიებო სამმართველოს უფროსს და ვთხოვე მოვეთავსებინე საავადმყოფოში სამკურნალოდ, მაგრამ უარი მითხრეს: ძიების დროს საავადმყოფოში მოთავსება არ შეიძლებაო. მაქვს ძლიერი ფსიქიური მოვლენები. აუცილებელია ჩემი მკურნალობა. გთხოვთ ჩემი მდგომარეობა

გაგრძელება მე-3 გვ.

# ჩეჩნეთი: თავისუფლება ან სიკვდილი

მეორე-მეხუთე გვერდი

ინტერვიუ ბრალდებულთან

# ოცნებათა მსხვრევა

მეხუთე გვერდი

# კროსვორდი გულმხურვალე შევარდნაძისტებისათვის

მერვე გვერდი

# „Мы потеряем Северный Кавказ, но у вас будет с ними война“

1992 წელს, როცა პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე გახლდით, რამდენიმე კოლეგასთან ერთად შევხვდი მოსკოვში რუსეთის დუმის ანალოგიურ კომისიას გაფართოებული შემადგენლობით (წევრთა გარდა სხდომას ესწრებოდნენ სამხედროები და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. ჩემი თხოვნით მას დაესწრნენ მოსკოველი ქართველებიც: ბატონები ს.ცაგარეიშვილი და ი.ფრანგიშვილი). მასპინძლების კითხვაზე, თუ როგორ წარმომიდგენია ჩვენი ქვეყნების ურთიერთობათა განვითარება მომავალში, ვუპასუხე: „შესაძლებლობათა ფართო დიაპაზონი არსებობს, ნაყოფიერი თანამშრომლობიდან დაწყებული და დაპირისპირებით დამთავრებული, როცა ჩვენი მიზანია თქვენი მოცილება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნიდან, არამედ ჩრდილო კავკასიის სამხრეთი ზონიდანაც“. ეს სიტყვები შეხვედრის ერთმა რუსმა მონაწილემ, რომელსაც საკვანძო როლი ეკუთვნოდა ჩვენ ქვეყანათა მოლაპარაკებებში, დაუმოწმებლად გაიხსენა 1993 წლის მაისში თუ ივნისში, მოსკოვში, როცა დერეფანში გამიხმო და მითხრა: „Мы потеряем Северный Кавказ, но у вас будет с ними война“. ამგვარად, ამ დროს მათ უკვე იცოდნენ, რომ კავკასიას კარგავენ, და, ალბათ, ისიც იცოდნენ, თუ ვინ აკარგვინებს მას, თუმცა თავის რიგით მოქალაქეს ვერ უმხელდნენ (და ვერ უმხელენ) ამ პესიმისტურ პროგნოზს. მე დიდხანს ვყოყმანობდი შემდეგ; სწორად მოვიქეცი თუ არა, ამ კაცს რომ ისეთი პასუხი მივეცი, რომელიც პასუხი არ იყო. სახელდობრ, ვუთხარი, „სამი ათასი წელია მეზობლები ვართ და ერთმანეთში სერიოზული ომი არ გვქონია, რაღა ახლა გვექნება-მეთქი“. მე არ ვუთხარი, ეგებ დროზე მოხვიდეთ გონს და ჩვენს მიმართ პოლიტიკა შეცვალოთ-მეთქი, და ახლა ვფიქრობ, რომ ყველა ჩემს თანამემამულეს – თუნდაც მმართველი გუნდის წევრს და თუნდა ოპოზიციისას – იგივე პასუხი ჰმართებდა. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენს მიმართ მათი პოლიტიკის გადასინჯვის თხოვნა და ამავე დროს მათთვის ჩვენი თანადგომის შეთავაზება, პოლიტიკისა და გეოპოლიტიკის ამა თუ იმ სექტორში (რაც პრაქტიკულად, ნიშნავდა ურთიერთობის გაფუჭებას სხვებთან, მაგალითად, კავკასიელებთან), უხეში ანაქრონიზმი იქნებოდა ჩვენი მხრიდან, ამგვარი გარიგება აღარც შესაძლებელი იყო და არც ჩვენთვის ხელსაყრელი. როგორც ცეზარმა თქვა თავის დროზე, წილი უკვე ყრილი იყო (და, მით უმეტეს, ყრილია დღეს) და დღეს ჩვენი ამოცანაა, ფრთხილად და სწორად გავიაროთ იმ კალაპოტში, რომელშიც ბედმა ჩვენს უკითხავად მოგვათავსა, რათა კიდევ ზედმეტი სისხლი და ნგრევა არ მოვიმკათ.

ეს მცირე შესავალი იმისათვის მოგახსენეთ, რომ დღევანდელი ვითარების ანალიზი უფრო ნათელი იყოს. იგი, სახელდობრ, შემდეგი პუნქტებისგან შედგება.

## ძალთა და ინტერესთა განლაგება კავკასიაში

1. დღეს ჩვენს რეგიონში მდგომარეობა არსებითად სხვაა, ვიდრე ათი წლის წინ იყო. საბჭოთა კავშირი დაშალა (რადგან დაამარცხა) დასავლეთის სამხედრო და ეკონომიკურმა ძალამ. რუსეთის სამხედრო წონითი კატეგორია დაქვეითდა. სხვა პრობლემებთან ერთად, სსრკ მემკვიდრეობის ერთი დიდი ნაწილის – შუა აზიის რესურსების – ათვისების ამოცანა დადგა. ამ რესურსების დანარჩენ მსოფლიოში გასვლის ოთხი გზიდან

– რუსეთის გზა (რაც რუსეთის სუპერძალის ნაწილობრივ აღდგენის ტოლფასია),

– ჩინეთის გზა (რაც ამ მეორე, მზარდი სუპერძალის მასტიმულირებელია), პაკისტანის გზა (რომელიც ამ ახალ სწრაფად მზარდ ეკონომიკურ რეგიონს ძალას შეჰმატებს, რითაც მის ფუნდამენტალისტურ ემოციურ მუხტს ქმედუნარიანობას გაუდიდებს და

– შუა აზია – კავკასიის გზა[1] – დასავლეთმა უკანასკნელი აირჩია, აირჩია არა მხოლოდ ეკონომიკური და სატრანსპორტო მომგებიანობის გამო, არამედ იმის გამოც (პირველ ყოვლისა), რომ ეს ყველაზე მეტად დაცვადი გზა მისთვის საიმედო გარანტიაა, რომ ნავთის მსოფლიო ფასების რეგულირებას და, ნავთის მწარმოებელი ქვეყნების მხრიდან ფასების მკვეთრი აწევის შემთხვევაში, ახალი ენერგეტიკული კრიზისებისაგან თავის დაზღვევას შეძლებს. ეს დასავლეთისათვის პირველხარისხოვანი გლობალური ინტერესია. დასავლეთი, თავის მხრივ, მსოფლიოში დღეს თითქმის მონოპოლიურად გაბატონებული ძალაა. ამ გეოპოლიტიკურ ვითარებას ზედ დაერთო სოციალიზმის, როგორც მეურნეობის სისტემის, ისტორიული კრიზისის ფაქტორიც, რაც იმან გამოიწვია, რომ სახელმწიფოს მონოპოლიზმზე დამყარებული ეკონომიკა მეორე ინდუსტრიული რევოლუციის ანუ ე.წ. „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის“ მოთხოვნებს ვერ მიესადაგა. შედეგი ისაა, რომ დღეს და ახლო მომავალში რუსეთი კავკასიის ზონიდან უკან იხევს. დიახ, რუსეთი უკვე წავიდა, ფაქტობრივად, შუა აზიიდან და დაწყებულია მისი კავკასიიდან წასვლის პროცესი. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რაც XVIII–XX საუკუნეთა ისტორიას ჯერ არ მოსწრებია: რუსეთი ვერ უგებს ღია ომს იურიდიულად მის სახელმწიფოში მყოფ მცირე ერს, ვინაიდან მისი ტრადიციული პოლიტიკის ორი ძირითადი იარაღი კავკასიის ხალხთა წინააღმდეგ – მოსპობის მუქარა და გასახლების მუქარა – მას დასავლეთისა და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის ზეწოლამ ხელიდან გააგდებინა. ამიტომაც დღეს რუსეთი მზადაა შეურიგდეს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას დე ფაქტო, ხოლო ამ გზით გამარჯვებული ჩეჩნეთი დე იურე დამოუკიდებლობაზე ნაკლებ პირობას არ ეთანხმება.

2. რაა რუსეთის ინტერესი ამ კონტექსტში და რით აპირებს იგი მის დაცვას? მისი ინტერესია, კავკასიის ზემოხსენებული გზის გაჭრა შეაჩეროს ან შეაფერხოს მაინც (რადგან ამით მის გავლენას და მის მუქარას სამხრეთისაკენ ბოლო ელება, შავი ზღვა კი რეალურად საერთაშორისო ზღვა ხდება), ხოლო ამ ინტერესის დაცვის საშუალებაა ის, რომ როგორმე, თავისი კონტროლის შენარჩუნებით, აფხაზეთის გზა გახსნას და ამ არტერიაზე დაყრდნობით საქართველოსა და სომხეთში თავისი პოზიციები შეინარჩუნოს, რომელიც, მართალია, სამხრეთისკენ დამუქრებისათვის არ ეყოფა, მაგრამ არეულობის მოწყობისათვის ენერგეტიკული კრიზისის გაჩენის შემთხვევაში და სხვა მეტ-ნაკლებად ტაქტიკური მიზნებისათვის მაინც ეყოფა. ამ გეგმის შესაძლებლობის აუცილებელი პირობაა ის, რომ საქართველოში და სომხეთში (განსაკუთრებით კი საქართველოში, რადგან საქართველო მასზე ობიექტურად დამოკიდებული არ არის) მას უძლიერესი და უმრავალრიცხოვანესი აგენტურული ქსელი ჰყავდეს, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების ჩათვლით, რათა ქვეყნის პოლიტიკის მართვა შეეძლოს. რადგან, ვიმეორებ, ობიექტური საფუძველი საქართველოზე დიქტატის განხორციელებისა მას არ მოეპოვება. ასეთი აგენტურა მას, რეალურად, ჰყავს. ამიტომ – და მხოლოდ ამიტომ არის, რომ რუსეთი ამ, არსებითად, ავანტურულ გეგმაზე მიდის, რომელიც გეოპოლიტიკური ვითარებისა და მისი დინამიკის წინააღმდეგაა მიმართული. მიდის კიდეც და შედეგსაც აღწევს, რადგან მოვლენათა განვითარების ის ტემპი, რომელიც დასავლეთს აქვს არჩეული (ეს საკმაოდ ნელი ტემპი) იძლევა იმის საშუალებას, რომ დროის დიდ მონაკვეთებში (სახელდობრ, მრავალთვიან და ზოგჯერ მცირეწლიან მონაკვეთებშიც კი) კანონზომიერი და გეგმაზომიერი განვითარება ყოვნის (პაუზის) მდგომარეობაში ექცეოდეს მართულ ლიდერთა იმ პრორუსული პოზიციის გამო, რომელიც მათ უმცირებს მოქმედებაში მონაწილეობის პოლიტიკურსა და ფაქტობრივ შესაძლებლობებს (რუსეთისთვის ბაზების მიცემა, მათი მიწვევა „სამშვიდობო“ ფუნქციებით, მათ მიმართ მდუმარე და არამდუმარე ლოიალობა გაეროში და სხვა ფორუმებზე და სხვა).

3. ამრიგად, კავკასიის ზონაში ძალთა განლაგების ცვლილების პროცესს დღეს ასიმეტრიული ხასიათი აქვს, ერთის მხრივ, რუსეთის პოზიციები განუხრელად სუსტდება (და, აქედან გამომდინარე, დასავლეთისა ძლიერდება) ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც რუსეთთან გეოგრაფიულად ახლოა და იურიდიულად მის სახელმწიფოში შედის. მეორე მხრივ, იგი ძლიერდება ამიერკავკასიაში (განსაკუთრებით, საქართველოში), რომელიც მისგან გეოგრაფიულად უფრო შორია და იურიდიულად დამოუკიდებელია. ეს კიდევ ერთხელ ამხელს ჩვენი დროის ერთ, პრაქტიკულად უმნიშვნელოვანეს ჭეშმარიტებას, რომელიც მსოფლიოს შემჭიდროებამ, ინტეგრაციამ, ინფორმაციისა და ღირებულებების გაძლიერებულმა მიგრაციამ მოიტანა. დღეს – სამწუხაროდ – ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისათვის თავის ნების თავს მოხვევის ისეთი ძლიერი საშუალებები არსებობს, სხვა ქვეყანაში საკუთარი მარიონეტების ხელისუფლებაში მიყვანის ჩათვლით, რომელიც ტრადიციულ მსოფლიოს და მუშტით ზეწოლის ტრადიციულ პოლიტიკას არც კი დაესიზმრებოდა (ამაზე – სხვა დროს.)

4. აი, სწორედ აქ შემოდის საქმეში ის ფაქტორი, რომლის გამოც რუსი დიპლომატის ზემოთ ციტირებული სიტყვები გავიხსენე. ზემოაღწერილი გეგმის პარალელურად, რუსეთი ქმნის საქართველოს წინააღმდეგ კავკასიური ომის პირობებს და ამისათვის აცოცხლებს სუკ-ის მეთაურის კრიუჩკოვის მიერ შექმნილ ანტიქართულ „მთიელთა კონფედერაციას“, რომელიც ერთხელ უკვე მოკვდა მორალურად და პრესტიჟის მხრივ, როცა, აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ნაომარმა, მდუმარედ გვერდი აუარა ჩეჩნების გენოციდის ფაქტს. მის ომს საქართველოს წინააღმდეგ, რუსული იარაღისა და ფულის გარდა, საბაბიც უნდა რაღაცა პროვოცირებული შეტაკების სახით. ამ საბაბს ქართველი მარიონეტები მას არ მოაკლებენ. ვინაიდან დღევანდელ დეზორგანიზებულ საქართველოში დღეს ომში, ფაქტობრივად, მხოლოდ მოხალისეები მიდიან (თუმცა კარგად იციან, რომ შევარდნაძის სარდლობით ომი არ შეიძლება), ეს ომიც ერის საუკეთესო ნაწილის მხრებზე გადავა და მსხვერპლიც საუკეთესო ნაწილიდან იქნება, კიდევ უფრო დაუძლურებული ერის წინააღმდეგ მოხდება ახალი სეპარატისტების ამბოხება „ჩრდილოეთ სომხეთის“ და „დასავლეთ აზერბაიჯანის“ შექმნის ლოზუნგით (გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოებას, რომ მე რუსეთის გეგმების გადმოცემას ვცდილობ, და არა ჩემი პროგნოზისას. მე პირადად ჩვენი მეზობლებისგან მხოლოდ ერთგულებისა და კოლეგიალობის იმედი მაქვს). ვინაიდან ამ დროს მათი გეგმით, უკვე იარსებებს „სამხრეთ ოსეთი“, ახალ სეპარატისტებს უარს არ ეტყვიან და საქართველოს კიდევ ახალი ტერიტორიები მოსწყდება ისე, რომ წვრილი ძაფითღა დარჩება მასზე მობმული იურიდიულად. მე ვერ ვიტყვი კატეგორიულად, რომ ორჯონიკიძის საქმის დღევანდელ ქართველ გამგრძელებელთა განზრახვა ზუსტად ასეთია. მაგრამ ფაქტები მოწმობს, რომ მათი პრაქტიკული ნაბიჯები, ჯერჯერობით, ამ ალგორითმის ჩარჩოში ზედმიწევნით ზუსტად თავსდება.

5. დიახ, რუსეთის დღევანდელი გეგმები საქართველოს მიმართ აბსოლუტურად უწყალოა. ეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დანგრევის გეგმებია და საამისოდ მათ თავისი მოტივაციაც აქვთ. არის სპეციფიკური მომენტი, რომელიც საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულებას ასხვავებს სომხეთის და აზერბაიჯანისადმი დამოკიდებულებისაგან (არ ვლაპარაკობ ფსიქოლოგიურ ფაქტორზე, – გალიზიანებაზე და ჯავრის ყრის ნაზევრადცნობიერ წყურვილზე, რომელსაც იწვევს ის ფაქტი, რომ თავისი სამხედრო ძლიერების უღელტეხილი რუსეთმა ამჟამად უკვე უცხო ქვეყნის – საქართველოს–ნაშაბის დიქტატურის ხელში გადაიარა). სომხეთს მისი გეოგრაფიული მდგომარეობით რუსეთზე დამოკიდებული პოზიცია აქვს (თუკი რუსეთმა ამიერკავკასიაში ძალა შეინარჩუნა), ვინაიდან იგი თურქეთის მხრიდან მუდამ ხიფათის მოლოდინშია. ამგვარად, სომხეთი (ტრადიციისამებრ) რუსეთისთვის ძირეულად მოკავშირე პარტნიორია. აზერბაიჯანი მუსლიმანური სამყაროს ნაწილია, რომელიც თუ ლოკალური მასშტაბით, არა, გლობალურით მაინც რუსეთის მოკავშირეა, ვინაიდან ერთსაც და მეორესაც დასავლეთის მიმართ დიდწილად ნეგატიური პოზიცია აქვთ. საქართველო მისთვის ყოველმხრივ მოუხერხებელი და მოუხერხებლად ორიენტირებული (კერძოდ, დასავლეთისკენ ორიენტირებული) ქვეყანაა და ამიტომაცაა, რომ მას საქართველოს საიმედო, ფუნდამენტური განადგურება ჰსურს. შემთხვევითი არაა,რომ 1921 წელს წითელი არმიის და თურქული არმიის შემოტევა საქართველოზე ერთ დღეს დაიწყო. რუსეთი არაა წინააღმდეგი, რომ საქართველო არ არსებობდეს და რუსეთს საზღვარი პირდაპირ თურქეთთან ჰქონდეს. ამ გეგმის გაუქმება ან შერბილება არც ხვეწნას ძალუძს, არც მაამებლობას რუსეთისადმი და არც რუსი გენერლების მონათვლას ქართველების მიერ. მისი ჩაშლა მხოლოდ წინააღმდეგობას ძალუძს (ამ შემთხვევაში ამისთვის წმინდა პოლიტიკური წინააღმდეგობა კმარა) და სწორედ ამ წინააღმდეგობის არარსებობაა ის, რაც ჩვენს მსხვერპლს და სტაბილურ მარცხს იწვევს

**ნოდარ ნათაძე**

1 .ეს გზა, თავის მხრივ, ორ ურთიერთგანსხვავებულ ინტერესს და, შესაბამისად, ორ სხვადასხვა (ერთიმეორესთან თავსებად) განშტოებას მოიცავს: საქართველოდან თურქეთში და ხმელთაშუა ზღვისკენ და საქართველოდან შავ ზღვაზე და ცენტრალური ევროპისაკენ.



# ჩეჩნეთი: თავისუფლება ან სიკვდილი

**რუსეთის სამხედრო სარდლობის ცნობით, გროზნოს ბრძოლებში, ერთი კვირის მანძილზე მოკლულ იქნა 221 ჯარისკაცი, 776 დაიჭრა.**

ოცი თვეა კალაშნიკოვის ავტომატებით და ხელის ნაღმტყორცნებით შეიარაღებული რამდენიმე ათასი ჩეჩენი უძალიანდება ყოფილ წითელ არმიას, ანუ 30000 რუს ჯარისკაცს, რომელთაც ზურგს უმაგრებს მთელი სატანკო არმია და რამდენიმე ათეული ვერტმფრენი და თვითმფრინავი. გროზნოს დალაშქვრა კიდევ ერთი სამარცხვინო მარცხია, რომელიც რუსებმა იწვნიეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რუსული სარდლობის მტკიცებით, „გროზნო მკაცრი კონტროლის ქვეშ“ იმყოფება და ქალაქში, მათი ნების გარეშე, „ჩიტიც ვერ შემოფრინდება“. რუსული არმიის წარუმატებელ ქმედებებს უამრავი მიზეზი აქვს. ომის დასაწყისში მოსკოვს ეგონა, რომ საქმე ექნებოდა ამბოხებულთა მცირერიცხოვან ჯგუფთან. მაგრამ, იმპერიის დანგრევის შემდეგ, საკუთარი თავის ჩრდილადქცეული რუსული არმია მთელი ხალხის წინააღმდეგობას წააწყდა.

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი ფრანგ ჟურნალისტებს ხშირად უსვამენ ასეთ კითხვას: „რატომ ხდება, რომ ესოდენ მძლავრ საფრანგეთს ჯერ კიდევ ეშინია რუსეთის, მაშინ, როცა ჩვენ, მილიონიან ხალხს, არაფრის შიში არ გვაქვს?“ იმის გაფიქრებაც კი, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყანა რიდით შეჰყურებს რუსეთს და მის არმიას, სიცილს გვრის ჩეჩენ მებრძოლებს. რუსული არმია, შეჩვეული ტრადიციულ ოპერაციებს, სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა მთიან ჩეჩნეთში ბრძოლისათვის. ქვეყნის რელიეფი რუსებს კლასიკური ოპერაციების განხორციელების საშუალებას არ აძლევს. ჯავშნოსანი მანქანები უძლურნი აღმოჩნდნენ ბოევიკების შეტევების მოსაგერიებლად. ჩეჩენთა მცირე ჯგუფები სახლების ნანგრევებში ან ტყიან ადგილებში უსაფრდებიან საომარ მანქანებს და მოულოდნელად უხსნიან ცეცხლს.

ჩეჩნების უპირატესობა იმაშია, რომ ბოევიკებს სამოქალაქო მოსახლეობაც მხარში უდგას. მოსახლეობა

გაგრძელება მე-6 გვ.

# უდანაშაულო მამა, უდანაშაულო შვილი!

## პასუხად თენგიზ კიტოვანს

წერილი მეექვსე

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №35,36,37,38,39.

პირველი გვერდიდან

მიიღოთ მხედველობაში და მომათავსოთ საავადმყოფოში, რადგან ყოველდღიურად ჯანმრთელობა მიუარესდება, რასაც შეიძლება ცუდი შედეგი მოყვეს.

თ.კიტოვანი
20.01.70 წელი“

ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, პატივცემულო მკითხველებო, როგორი ცუდი შედეგიც მოყვა ბატიას „ავადმყოფობას“. რა იყო ასეთი — დაეჯერებინათ კუპრავებსა და მაშინდელ შ.ს.მინისტრ ე.შევარდნაძეს ბატიასათვის, ემკურნალათ კაცისათვის, ხომ არ ჩავვარდებოდით ასეთ შავ დღეში, ა?! არ დაუჯერეთ და მიიღეთ კიდეც „ცუდი შედეგი“. გვაფრთხილებდა კაცი ბატიოსნად, მეტი რა უნდა ექნა? გამოძიება კი — „მაგრად ინსპირირებული“ — თავისი გზით გრძელდება — მოწმდება ბატიას უპირველესი კოზირი — საჭესთან ჩემი ნათესავი და მეგობარი ძაგნიძე იჯდა, მან დააჯახა მანქანა სამუშიასა და ონიანს, შემდეგ კი რუსთავისაკენ გაიქცაო.

ისე, „კაცობის კოდექსიდან“ გამომდინარე, ბატიამ ამ შემთხვევაში ერთი გაკვეთილიც ჩაგვიტარა!

ახლა კი ჩავიხედოთ ს.ს. საქმეში:

„ძაგნიძემ უარყო კიტოვანის ჩვენება იმის შესახებ, თითქოს იგი დაეჯახა 1969 წლის 15 ნოემბერს კიტოვანის კუთვნილი მანქანით მოქალაქეებს და განმარტა, რომ ჯერ ერთი, არ იცის მანქანის ტარება, მეორეც, იგი ასტამურ აჩბას მკვლელობის შემდეგ პირველიდან 19 ნოემბრამდე იმალებოდა და არ იმყოფებოდა თბილისში. კერძოდ, 13-დან 19 ნოემბრამდე ქუთაისში იყო მოქალაქე იობიძის ოჯახში...

იგი თბილისში ჩამოვიდა 1969 წლის 19 ნოემბერს გოგი სვანიძის მანქანით და აქ — თბილისში შეიტყო თ.კიტოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. აქვე გაიგო, რომ თურმე კიტოვანი მას სდებდა ბრალს ავტოსაგზაო შემთხვევაში, რადგან კიტოვანის მანქანაში აღმოჩნდა მისი — ძაგნიძის სტუდბილეთი, რომელიც მან ჯერ კიდევ 13 ნოემბერს გამოუგზავნა ქობულეთიდან ქუთაისში გოგი სვანიძეს კიტოვანისათვის გადასაცემად, რათა მას თავის მხრივ ძაგნიძის დედისათვის გადაეცა იგი რუსთავში.

ძაგნიძის ჩვენებები თავის მხრივ დასტურდება მოწმეების გოგი სვანიძის, იობიძის, გელაშვილის, სალუქვაძისა და სხვათა ჩვენებებით“...

ეგ კიდევ არაფერი, რომ ბატიამ ხელი დაადო ძაგნიძეს, ცალკე ამუშავდა კალისტრატე — „უდანაშაულო მამა“;

„... კიტოვანის მამა — კ.კიტოვანი თავის მხრივ ცდილობდა ნათესავების მეშვეობით დაერწმუნებინა ძაგნიძე, რათა მას აეღო თავის თავზე ავტოსაგზაო შემთხვევაც — გოგი სვანიძის მეშვეობით გაუგზავნა წერილი გადასაწერად და სსრკ და საქართველოს პროკურორებისათვის გასაგზავნად (შეიძლება რაიმე შეეშალოს ძაგნიძესო და კალისტრატემ თავად დაუწერა „აღიარებითი“ წერილი ძაგნიძეს. თ.კ.), მაგრამ თავად ძაგნიძემ და მისმა ნათესავებმა უარი უთხრეს კიტოვანების ოჯახს ბატიას დანაშაულის აღებაზე“.

ა! უყურე შენ? კაცს თავისი გაჭირვება ჰყოფნიდა, ერთი მკვლელობა უკვე ჰქონდა და ბუს დიდი თავისა არ იყოს, კიდევ ორი მიცვალებულის ცოდვას ჰკიდებდნენ.

როგორ ჯდება, ბატია, ეს საქციელი კაცობის, თუნდაც ქურდობის კოდექსში? ვითომ ისინი ჩაგითვლიან ამას კარგ საქციელად?

ეგ არაფერი, პატივცემულო მკითხველებო! როგორც კი ჩაიშალა „ძაგნიძის ვერსია“, ბატიას მამიკომ ხელადვე ახალი ვერსია შეთხზა;

თურმე ნუ იტყვით, გაზეთ „თბილისში“ ნეკროლოგების გვერდი ამისათვის შესაფერის მასალას იძლევა — აიღო და იპოვა 1969 წლის დეკემბრის თვეში, ავტოსაგზაო შემთხვევისას დაღუპული ვინმე თოხლე ქურდაძე (თოხლე მეტსახელია. თ.კ.) და დაიწყო ახალი ვერსიის დამუშავება. ფანტაზიას და გამომგონებლობის ნიჭს ვერც კალისტრატესა და ვერც ბატიას მეუღლეს ვერ დავუწუნებთ. გაჩაღდა დიდი მიწერ-მოწერა ბატიასა და მის მეუღლეს შორის — კონსპირაციის სრული დაცვით. წერილები იწერება ბატიასათვის შეგზავნილი ტანსაცმლის სარჩულად გამოკრულ თეთრ ნაჭრებზე ფანქრით, პასტით და ა.შ. ეს წერილები თავისებური შედევრებია და რა თქმა უნდა, უცილობელი მტკიცებულება იმისა, რომ ბატია კრისტალივით სუფთა და უდანაშაულოა;

# ჩუმად! ნუ გააღვიძებთ კიტოვანს!



„1. ხმა გამოვიდა: ვითომ გითქვამს, რომ სახლიდან გამოსულხარ მანქანის ეზოში ჩასაყენებლად, დაგინახავს შენი მანქანა მეორე მხარეს გარბოდა, საიდანაც ვიღაცას დაუძახია თოხლე მოგვზდიეო. შენ ვიღაცის მოსკვიჩით, რომელიც იქვე მდგარა, ძალდატანებით გაკიდებიხარ. რუსთავის გზაზე გინახავს შენი მანქანა, რომელიც გვერდზე გადაყენებული ყოფილა. მაგრად დაუტორმუზებია მოსკვიჩი და შენ ხელიც დაგიშავებია, ჩამოსულხარ თუ არა, მოსკვიჩი გაქცეულა, რომელიც მოშორებით გაჩერებულა და ვიღაც ჩამჯდარა. შენ ძლივს მოგისწრია ნომრის დანახვა 25-04 გრო. ჩვენ ამ ამბის გაგებისთანავე დავადგინეთ, რომ 25-04 ყოფილა თეთრი ფერის, მეორე გამოშვების მოსკვიჩი, მისი პატრონი ყოფილა სურამელი ზედმეტსახელად თოხლე ქურდაძე, ცალთვალ-ბრუციანი, 35 წლის, უმუშევარი ხალტურაზე მოსიარულე, ნაციხარი. ჩვენ გვინდოდა მისი ნახვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავარიაში მოყოლილა და დეკემბერში გარდაცვლილა. შენ გგონებია მანქანის გამტაცებელი ძაგნიძე და იმიტომ დაგისახელებია და ამას ჩვენებაში არ აძლევდი, რომ არავინ დამიჯერებსო. თუ მართლა ეს ასე იყო და იმ ჩვენს აღწერილ კაცს გავს შენი წამყვანი მოსკვიჩის პატრონი— შემოთვალე ლიმონი. (ა?! როგორი შიფრია? მოლოდეც! თ.კ.).

2. დღეს გავიგე, რომ ვითომ შენ გძინებია სახლის წინ შენს მანქანაში (ეს უკვე მეორე ვერსიაა. მოკლედ, ვერსიების სიუხვე კუპრავას კი არა, შერლოკ ჰოლმსსაც შეშურდებოდა! თ.კ.). მოსულა ვიღაც შინაური თუ უცხო, დამჯდარა რულზე და მოუხდენია ავარია. შენ გინახავს, რომ იგი გაქცეულა, ვერ დაწევიხარ და შენ დაუჭერიხართ. ჩვენ ახლა ვეძებთ, შეიძლება აღმოვაჩინოთ. თუ შინაურია, დავაძალებთ გამოცხადდეს და თუ უცხოა, მაშინ ჩვენ გავაცხადებთ. თუ მართლა შენ გეძინა მანქანაში და არ გახსოვს მეტი არაფერი, მაშინ რაღას მიედმოედები, შემოთვალე ხილი (ა! ეს აგდებული ტონი ბატიას მისამართით, ნამდვილად არ მომწონს. ქალბატონი ციცი შეცდა ალბათ, თორემ მომავალ თავდაცვის მინისტრს ასე არ დაელაპარაკებოდა. თ.კ.). შეიძლება შეურაცხადი ყოფილიყავი, ისე როგორც ცუცას დროს. ჩვენ მოვითხოვეთ შენი საავადმყოფოში გაგზავნა შეურაცხადობის დასადგენად. არ არის გამორიცხული ძაგნიძეს მოეტაცა მანქანა, ამიტომ შენ მას აბრალებდი ეჭვით, მაგრამ ვითომ მასთან იყავი, რადგან ეჭვს ვერ დაამტკიცებდი, გამოდიოდი მოწმედ. ძაგნიძემ და მისმა მშობლებმა თავგამოდებით გვლანძღეს ყველგან, ვითომ მისი ფარვიზი მანქანას ვერ წაიყვანდა და ავარიას ვერ მოახდენდა. მაშინ რაღა გინდოდა შენ რუსთავში მარტო? ფარვიზას უთქვამს, რომ არამც და არამც არ ვიკისრებო, რადგან დამხვრეტავენ სვანები, მომკლავენო. ჩვენ კიდევ ვფიქრობთ, რომ მართლა ის იყო შენი მანქანის გამტაცებელი, მაშინ, როცა შენ გეძინა და მას დიდი საშუალება ჰქონდა ერთი თვის განმავლობაში ათასი ვინმე ენახა თავის გასამართლებლად. როგორც შენი ჩვენებებიდან ჩანს, შენ გზაზე გძინებია, ვინ იცის, ალბათ, თუ არ გეძინა, შეურაცხადი იქნებოდი, ამიტომაც არაფერი არ გახსოვს.

ჩვენ ეჭვი გვეპარება, ჯუტუს ბიჭს რომ არ წაუყვანიხარ მძინარე და მოუხდენია ავარია. მას შენამდე კაციც დაუჭრია და ციხეში ზის. ამასაც დავაზუსტებთ. ციცინო“.

ა! ახლა ადგება ბატია და დაიბუხუნებს: რა გამიწყალეთ გული, მომივიდა ეს ოხერი ავარია და მევე ვაგებ პასუხს, რა სხვებს აბრალებთო! „კაცური კოდექსით“ ალბათ ასე უნდა ყოფილიყო. ბატია, არა?

თქვენც არ მომიკვდეთ, ზის ბატია და იზუთხავს ციცინოს (შემდგომ უკვე ციცი! თ.კ.) ვერსიებს — პარალელურად დროს უქმად არ კარგავენ — „კაცური კოდექსიდან“ გამომდინარე — „აწვებიან“ სიგიჟის ვერსიასაც, მანამდე კი ცოტა არ იყოს დამფრთხალა ციცინო;

„გულისათვის უთქვამს ჯუტუს ბიჭს, რომ სვანები ძალიან აღელვებულები არიან და გვემუქრებიან. ჩვენ ამაზე გავაცხადეთ. ნუთუ ასეთი შეუგნებლები არიან. იმათ მაგივრად (ე.ი. სამუშიასა და ონიანის მაგივრად! თ.კ.) მეც რომ მდგარიყავი და შენ რულთან მჯდარიყავი, მეც ხომ მომკლავდი? რა შუაშია შემთხვევა და სისხლის აღება? მჟავანაძესთან შესვლა მინდოდა, მაგრამ მამაშენმა უარი მითხრა, რადგან რა უნდა სთხოვო, როცა არ იცის მართალია თუ მტყუანიო.

ციცო“.

სხვათაშორის, ყველა საიდუმლო წერილზე, რომელიც ხელში ჩაუვარდა გამოძიებას, ჩატარებულია კალიგრაფიული ექსპერტიზა და დადასტურებულია, რომ ისინი მაინცდამაინც ბატიას მეუღლის შემოქმედებას განეკუთვნებიან.

მცირეოდენი შეცდომაც მოუვიდათ ბატიასა და მისი ოჯახის წევრებს — მათ მიერ დასახელებული ავტომანქანა 25—04 გრო მოსკვიჩი კი არა, „პობედა“ აღმოჩნდა... რა ვუყოთ, ხდება ხოლმე, მაგრამ თოხლე ხომ არსებობდა?

ჰოდა, კუპრავებმა და სხვებმა — ინსპირაციის შემსრულებლებმა, ბატიას წარუდგინეს რამოდენიმე მამაკაცის ფოტო — მათ შორის თოხლეც იყო — ამოსაცნობად და ბატიამ ხელი სხვას დაადო — ესაა თოხლე ქურდაძე, ჩემი მანქანის გამტაცებელიო. ვერ მიაწოდეს კაცს დროულად თოხლეს ფოტო და რა უნდა ექნა აბა?

ისე, ეს გამომძიებლებიც კარგი ეშმაკები არიან — ყველა, ფოტოზე გამოსახული პირები, ზოგი ჰალსტუხით იყო, ზოგიც თეთრი პერანგით. მარტო ერთი იყო შოფრულად გვერდზე მოქცეული ქუდით — დაადებდა ამ ქუდიანს ხელს, აბა რას იზამდა? გარდა ამისა, ცოტათი ზემოთ, ქალბატონ ციცინოს წერილში ნახსენებია ვინმე ჯუტუს ბიჭი — ეს ვერსია, სამწუხაროდ თავიდანვე გაბათილდა, ვინაიდან იგი ავტოსაგზაო შემთხვევამდე — ანუ 15 ნოემბრამდე დაუპატიმრებიათ! რა გინდა რომ ქნა?

ჯერ კიდევ არავის მოსდის აზრად შევარდნაძეს დასდოს ბრალი ინსპირაციაში. უფრო მეტიც, ქალბატონი ციცინო თავად შევარდნაძეს მიმართავს საშველად:

„პატივცემულო ედვარდ ამბროსის ძევ!

მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, მაგრამ რა ვქნა, ვიღუპები ჩემი პატარა ბავშვებით. თქვენც და მეც ღრმად გვწამს, რომ ჩემი მეუღლე თენგიზ კიტოვანის მიერ არ არის ავარია გაკეთებული (უყურე შენ? თურმე შ.ს. მინისტრ შევარდნაძესაც „სწამს“, რომ ბატია უდანაშაულოა! თ.კ.). მე უსუსური ვარ სიმართლე გავარკვიო. მჯერა, რომ თქვენც ეს გინდაც, მაგრამ დრო მიდის და ყოველმხრივ ვიღუპები. ჯერ ერთი, სვანები გვემუქრებიან და თუ ისინი მოიყვანენ თავიანთ მუქარას სისრულეში და მერე აღმოჩნდება ჩემი მეუღლე მართალი, მაშინ რაღა ფასი ექნება დაგვიანებულ სიმართლეს?

მათ უთქვამთ, რომ თუ ძაგნიძე იჯდა საჭესთან, მას ეპატიება, რადგან გაქცეული იყოო და თუ სხვაო, მაშინ სისხლი უნდა ავიღოთო. და თუ კიტოვანი არ იტყვის, მაშინ ჩვენ მასთან გვექნება საქმეო. შესაძლებელია, ჩემმა ქმარმა მართალიც თქვას, მაგრამ ეს სიმართლე ვერ დაამტკიცოს სხვადასხვა გარემოებათა გამო. ამიტომ, ახლა ჩვენთვის სულერთია. ახლა კი ყველაზე უმწეო ჩემი პატარა ოჯახია.

თქვენ სახელმწიფო მოღვაწე ბრძანდებით და ამ საკითხს ყოველმხრივ საგულისხმოდ გადაჭრით მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ცბიერთ სხვადასხვა მოსაზრებებით, ჩვენი ოჯახის შესახებ არასასურველი ცნობები მოაქვთ.

მართალია, ჩემი ქმარი, თენგიზ კიტოვანი იყო ზოგიერთ ბრალდებებში შემჩნეული (ა! რა კარგი ფრაზაა... „ზოგიერთ ბრალდებებში შემჩნეული“ თ.კ.), მაგრამ მერწმუნეთ, ბატონო მინისტრო, რომ ეს გარკვეული მიზნისათვის პროვოცირებული იყო. მე ისიც არ მინდა, რომ ორი სტუდენტის დაღუპვას სხვა უდანაშაულო პირები მოყვეს, ან კიდევ ორგვარი სასჯელი იხადოს ვინმემ.

ბატონო მინისტრო, გემუდარებით, შეიბრალეთ ჩემი ბავშვებით ახალბედა ოჯახი და თქვენი ობიექტურობაზე იყოს მათი ბედი.

პატივისცემით თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანის მეუღლე
ციცინო სულაძე-კიტოვანი
17.03.1970 წელი“.

როგორც ხედავთ, ამ განცხადებაში მინიშნებაც კი არაა იმაზე, რომ შევარდნაძე აწყობს რაიმე „პროვოკაციას“, პირიქით, მისგან ელიან ობიექტურობასა და თანადგომას, შ.ს. მინისტრის ობიექტურობა კი იმაში გამოიხატა, რომ ს.ს. საქმე სასამართლოს გადაეგზავნა ასევე ობიექტური განაჩენის გამოსატანად. სხვას ვერც ვერაფერს იზამდა. შევარდნაძის „ინსპირაციის“ შესახებ ცნობები გაჩნდა უკვე 1990—91 წლებში. ეროვნული მოძრაობის ტალღაზე, როცა საჭირო იყო „სინდისის პატიმრის“ იმიჯი — რა მოხდა მერე — ბატია რა ერთადერთი იყო, ვინც თავისი კრიმინალური წარსული კაპიტალად გადააქცია თუ რა? მიდი ბატია, მიაწექი პირველ ჩვენებას!

პირველ ჩვენებას კი არა, ვერც მეორე, ვერც მესამე და მეოთხე ჩვენებებზე ჩერდება ბატია და ცოლის კონსულტაციით ცვლის და ცვლის მათ. ერთი რამ კი ნამდვილად უცვლელი რჩება — დამიჯერეთ, შეურაცხადი ვარო!

მაგრამ რა! გამოძიება კი არა — შეურცხვეს ცხვირი და — ექსპერტიზა ამტკიცებს, რომ ბატია — „პრიზნაკოვ ფსიხიჩესკოგო რასტროისტვა ნე ობნარუჟივალ ი ნე ობნორუჟივაეტ ვნოსტაიაშჩეე ვრემიაო“ — და გინდა თუ არა ჭკვიანიაო!

იმდენი თქვენ რა გითხარით! ესაა ბატია ობიექტურობა? ესაა სამართალი? ცოლი, მამა, თავად ბატია, ერთი ექსპერტიზა, მერე მეორე, ამტკიცებენ, შეურაცხადია ბატიაო და გამოხტა ახალი ექსპერტიზა და გინდა თუ არა შერაცხადიაო! შევარდნაძის ჩაწყობილია ბატია ეგ საქმე, შევარდნაძის პროვოკაციაა, აბა რა, თორემ შენ მაგას ვინც გაკადრებს, კანონით მართლა უნდა გაუყენო ციხის გზას!

**თეიმურაზ კვირკველია**

გაგრძელება იქნება

## «ბატია» თბილისელი კაცია თავისი ისტორიით

კვირკველიას ყველა წერილს პასუხი რომ გასცე და წერო, მაშინ კვირკველიას დონეზე უნდა დახვიდე და პროკურატურის უნიჭო პრესცენტრს უნდა დაემსგავსო. ჩემო ყურცქვიტა, მეცოდები, რადგან შენი „ხაზეინებისგან“ ხარ დავალდებულებული. ერთს გეტყვი, ლოგიკის უნარს მაინც ნუ დაკარგავ და აზროვნებას მოუხმე. ბელორუსიაში ვმსახურობდი ჯარში. შენ რომ გამოაქვეყნე ჰოსპიტლის ცნობა, თანაც შენი უკბილო ხუმრობები რომ დაუმატე, არის თბილისის ჰოსპიტლის დასკვნა. ნუთუ ანალიზის უნარი დაკარგე. ბელორუსიის ოკრუგს თავის ჰოსპიტალი არ ჰქონდა და თავის დასკვნას ვერ დაწერდა? შენ ჯობია შევარდნაძეებს მიხედო.

მამაჩემის, იმ მიცვალებული კაცის წერილმა ციებ-ცხელება გაგიჩინათ? რა, არ იცოდი, რომ ედუარდი ამდენი საქმის ფალსიფიკატორი იყო? თუ ზვიად გამსახურდიამ არ გამოაქვეყნა მაგის სისასტიკეები და სიბოროტეები, შენ ხომ არ გგონია, მე არ გამაჩნია მასალები?

ერთ ამბავს გეტყვი კაცურად. რა, მე არ შემეძლო ამ საქმეების არქივიდან ამოღება და გაქრობა? იყვნენ კიდეც ჩემთან და შემომთავაზეს, მაგრამ მე უარი ვუთხარი. როგორ შეიძლება ამ საქმეების გაქრობა — ეს არის ეტალონი იმ საქმეებისა, სადაც მილიონობით ხალხს უქმნიდნენ ფალსიფიკაციებს, ძალადობდნენ და ხვრიტავდნენ ან მრავალი წლობით საბჭოურ ლაგერებში აგზავნიდნენ. რაც დღეს ხდება ჩემი და ჩემი მეგობრების მიმართ, ეს არის ეტალონი ძალადობის და ფალსიფიკაციის, ეს არის შევარდნაძის სიბოროტის ჰიმნი.

მე ადრეც მოგახსენეთ, თბილისში ყველამ ყველაფერი იცის, იქ ვერავის ვერაფერს დაუმალავ.

მე ადრეც მოგწერე, თუ რაიმე გაინტერესებს და რაიმე მასალა გაკლია ჩემზე, მოდი ჩემთან, მე შენ გეტყვი ყველაფერს. ისე, შენ რომ წერ, ჩემი „თავმკვდარი ბატია“, „ბატია“ თბილისელი კაცია თავისი ისტორიით, ჩემო თეიმურ. შენ რომ ლოგინის ქვეშ ცახცახებდი და ბევრი შენისთანა, „ბატია“ იბრძოდა. და ახლა, როცა მე ისევ გადავწყვიტე ჩემი ქვეყნის გაერთიანება და აფხაზი სეპარატისტების დასჯა, მაშინ შევარდნაძემ თავისი „მშვიდობიანი“ პოლიტიკით მე გამაჩერა. შენ სად იყავი მაშინ, ჩემო ყურცქვიტავ! ელოდებოდი მოვლენებს, ელოდებოდი ამ დღეს, როცა კიტოვანს გაასამართლებდნენ აფხაზეთში შესვლისთვის და შევარდნაძე გამოვიდოდა კაენის როლში, ამას ელოდებოდი?

**თენგიზ კიტოვანი**

# მერაბ კაკულია:
# ლარის სიმტკიცის შენარჩუნება ანტიემისიური პოლიტიკით შეიძლება

**მალე** ერთი წელი შესრულდება ეროვნული ვალუტის, ლარის შემოღებიდან. როგორც ზოგიერთი ვარაუდობდა, კუპონის ბედი მას არ სწვევია. მაგრამ არც ის პროგნოზები გამართლდა, რასაც ლარის ავტორები წინასწარმეტყველებდნენ. ამ სფეროში შექმნილ ვითარებასა და პრობლემებზე გვესაუბრება საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი **მერაბ კაკულია.**



— ლარის სიმტკიცის შენარჩუნება მარტო ეროვნული ბანკის პრეროგატივა როდია. ეს მთელი ხელისუფლების უპირველესი საქმეა. მართალია, საერთო ძალისხმევით ჩვენ მივაღწიეთ ლარის სრულყოფილ და მყარ საგადამხდელო საშუალებად გადაქცევას, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ქვეყნის სასაზღვრო ზოლში კვლავ მიმოიქცევა რუსული მანეთი. ეს არ არის გამოწვეული ეკონომიკური მიზეზებით, რადგან რუსეთის ვალუტა პერმანენტულ გაუფასურებას განიცდის, მაშინ როცა ლარი შემოღების დღიდან სტაბილურია. სამწუხაროდ, ხელისუფლების ადგილობრივი და სამართალდამცავი ორგანოები ამ საკითხთან მიმართებაში პასიურ პოზიციას ამჟღავნებენ.

მეორე, საქართველოს ეკონომიკა კვლავ რჩება ნაღდი ფულის ეკონომიკად. ანგარიშსწორება ქვეყანაში უპირატესად ნაღდი ფულით ხდება, უნაღდო ანგარიშსწორების აღდგენას კი ძვირად ღირებული ელექტრონული სისტემების დანერგვა სჭირდება. მართალია, ეროვნულმა ბანკმა შესძლო რეგიონალური საანგარიშსწორებო ცენტრების დროის რეალურ რეჟიმში ჩართვა, მაგრამ ამ ცენტრებიდან უშუალოდ საბანკო დაწესებულებამდე კავშირის დამყარება მაინც ვერ მოახერხა. ეს საქმეც დაიძრა, უკვე მიღწეულია შეთანხმება კავშირგაბმულობის სამინისტროსთან საბანკო ტელეკომუნიკაციების დაჩქარებული განვითარების შესახებ, რომელსაც მსოფლიო ბანკი და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო დააფინანსებს.

**— ლარის ავტორიტეტი ნიშნავს თუ არა იმას, რომ ჩვენი ვალუტა კონვერტირებადია?**

— ლარის ავტორიტეტი საზოგადოების ცნობიერებაში მისი კურსის სტაბილურობას უკავშირდება. ეს კურსი კი შიდა სავალუტო ბაზარზე რეალური მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ყალიბდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერ მოქალაქეს თუ ეკონომიკურ სუბიექტს შესაძლებლობა აქვს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ლარით იყიდოს ან ლარზე გაყიდოს უცხოური ვალუტა. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლარის შიდა კონვერტირებადობა უზრუნველყოფილია. რაც შეეხება თავისუფლად კონვერტირებადობას ქვეყნის. გარეთ, ისე როგორც დოლარი, გერმანული მარკა და კიდევ 22 სხვა ვალუტა, მის მიღწევას დრო დასჭირდება, დრო რომლის განმავლობაშიც საქართველომ უნდა შესძლოს დაიმკვიდროს თავისი ღირსეული ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში.

**— ეკონომიკის ზრდას თუ არ ექნება ადგილი, სარეზერვო ვალუტით სანამ შეიძლება ლარის განმტკიცება. რა უნდა გაკეთდეს ამისათვის?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ ეკონომიკურ ზრდას უკვე აქვს ადგილი. გასულ წელს ერთობლივი შინაგანი პროდუქტი 2,4 პროცენტით გაიზარდა. შეიძლება თვით ციფრი მაინც და მაინც შთამბეჭდავი არ იყოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ხუთწლიანი დაცემა წარმოების სფეროში შეჩერდა. წლეულს იგივე მაჩვენებლის ზრდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა პროგნოზით, 8 პროცენტს მიაღწევს, ასე რომ, თქვენი შიში უსაფუძვლოა.

ისე კი, უნდა გითხრათ, რომ მიმოქცევაში ფულადი მასის საქონელთა მასასთან (ფულად გამოსახულებაში) წონასწორობის მიღწევით, ანუ ანტიემისიური პოლიტიკით საკმარისად დიდხანს შეიძლება ეროვნული ვალუტის სიმტკიცის შენარჩუნება. მით უმეტეს, რომ რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს ეს, ჩვენი ქვეყნის სავალუტო რეზერვების შემცირება, იმ ზომით არ ხდება, რა ზომითაც ოფიციალური მონაცემებით იზრდება სავაჭრო დეფიციტი. როგორც ჩანს, მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე იმდენად არ იზრდება, რამდენადაც იზრდება ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობა. აქედან ერთი ემპირიული დასკვნა: საქართველოს საგადამხდელო ბალანსი, როგორც ჩანს, ლარის შემოღების შემდეგ, არც თუ ისე უიმედო მდგომარეობაშია.

**— პრესაში გავრცელდა ხმა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, რომელიც ახლახანს იმყოფებოდა საქართველოში, გვთავაზობს კიდევ ახალ ფინანსურ დახმარებას, რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— ლაპარაკია ისაფის კრედიტის მომდევნო ტრანშზე, რომელიც სექტემბერში უნდა მივიღოთ. ამ კრედიტის პირველი ტრანში 41 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით უკვე მივიღეთ მიმდინარე წლის მარტში. ისაფის კრედიტი წარმოადგენს სამწლიანი ეკონომიკური პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას, რომლის საერთო მოცულობა 246 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს და 6 ტრანშად ჩაირიცხება ქვეყნის სავალუტო რეზერვებში. ყოველი მომდევნო ჩარიცხვა, რომელიც ხორციელდება ექვს თვეში ერთხელ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ასრულებს საქართველოს ხელისუფლება ისაფის პროგრამის რაოდენობრივ მაჩვენებლებს. სავალუტო ფონდის მისიის ბოლო ვიზიტიც საქართველოში სწორედ ამის გარკვევას ისახავდა მიზნად. მისიის წინასწარი შეფასება დადებითია. მომდევნო ტრანშის გამოყოფის საკითხს საბოლოოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო სექტემბრის ბოლოს გადაწყვეტს.

**— აქა-იქ ყურს მოკრავთ, რომ ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკში კრედიტის მისაღებად არაოფიციალურ საზღაურად კრედიტის მოცულობის 20—30 პროცენტს ითხოვენ. რა კომენტარს გაუკეთებდით ამას?**

— სრული აბსურდია. ჯერ ერთი, ეროვნული ბანკი მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს აძლევს კრედიტებს ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად ან კიდევ ჰყიდის საკრედიტო რესურს აუქციონის მეშვეობით, ისიც ძალზე მცირე მოცულობით. არაფორმალური ურთიერთობები გამორიცხულია როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში. მეორეც, არც ერთი ბანკირი, რამდენადაც კორუმპირებული არ უნდა იყოს იგი, ასეთ სისულელეს არ გააკეთებს, რადგანაც ამგვარი „წესით" მიღებული კრედიტი ყოველგვარ აზრს კარგავს და მისი დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ეს კი ბანკირისათვის ძალიან დიდ უსიამოვნებებთანაა დაკავშირებული.

**— გმადლობთ**

ესაუბრა
**ნინო ზამთარაძე**

---

გვწერენ...

## ტროას ცხენი - დანაელთა «საჩუქარი»

**როდესაც** ბერძნებმა ტროას აღება ვერ შესძლეს, ხერხს მიმართეს: უზარმაზარი ხის ცხენი შეუგზავნეს „საჩუქრად" ტროელებს და ამ „საჩუქარმა" დაამარცხა კიდეც ქალაქი.

ერმა, ხალხმა მსოფლიოს ცხოვრებაში მონაწილეობა რომ მიიღოს, თავისი მეობა რომ გამოამჟღავნოს, ამისათვის საჭიროა, რომ იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს. დე იურედ და დე ფაქტოდ უნდა აღიარონ იგი სხვა სახელმწიფოებმა, ე.ი. ცნონ თავიანთ ტოლად და სწორად. მე, რა თქმა უნდა, ახალს არაფერს ვამბობ, ეს ყველაფერი დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ვითომ სახელმწიფოა ის, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ? ხალხის რჩეული ხელისუფლებაა ჩვენი ხელისუფლება? ერი არის აქ სადმე? ან ხალხი, ადამიანი სადმე იგულისხმება? როცა პენსიონერები 3-8 ლარს იღებენ პენსიას, მუშას, მოსამსახურეებს, მასწავლებლებს, ექიმებს, მეცნიერებს — ათი ლარი, პოლიციელს 60—80 ლარი აქვთ ხელფასი, არა მგონია, ეს სახელმწიფო იყოს, რადგან წესრიგის, კანონის გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებს. ასეთ გამათხოვრებულ საზოგადოებაში კი რა კანონის გატარება შეიძლება?! ადამიანს, როდესაც შია, იგი არანაირ კანონს აღარ დაგიდევთ, მით უმეტეს მაშინ, როცა აგერ, ლობის იქეთ ვიღაცას სასახლე წამოუჭიმავს, მილიონებს ატრიალებს. მე მგონი ვერაფერი შეაჩერებს დამშეულ ადამიანს — როგორი მკაცრი კანონიც არ უნდა იყოს და რაგინდ მაღალი ღობეც არ უნდა ერტყას ამ სასახლეს. მით უმეტეს, იმ „წითელი სახადის" შემდეგ ადამიანებს ყოველგვარი ზომა-წონა, ზნეობრივ-მორალური საზომი დაუკარგავს. ყველა ადამიანურმა ფასეულ-ღირებულებამ ფალსიფიკაცია, ევოლუცია, ინფლაცია, ჰიპერინფლაცია და ვინ იცის კიდევ რაღა არ განიცადა.

სად არის ერი, ხალხი, სამშობლო? პური გინდა? წყალი გინდა? გაზი გინდა? სინათლე გინდა? სითბო გინდა? — გადაიხადე! როგორ? საიდან? ამას არავინ კითხულობს — გადაიხადე და მორჩა.

სად არის ხალხი, ერი, სამშობლო, სახელმწიფო, ხელისუფლება, კანონი?!

— რატომ ხდება ასე?!

თავს ნებას მივცემ, რომ ვუპასუხო ამ კითხვაზე:

არ არსებობს სახელმწიფო ანუ ხალხის ხელისუფლება. ყველა კანონი, აშკარად თუ ფარულად, ხალხის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. ხელისუფლება თავისთვის არსებობს, ხალხი — თავისთვის. გასაცოდავებული, გამათხოვრებული, ყველაფრისადმი რწმენადაკარგული. ტელევიზიით კი პარიზში, ჩინეთში, ტაილანდში საყიდლებზე თუ საქეიფოდ ეპატიჟებიან. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ მოჭეშმარიტო-მოფილოსოფოსო, მოისტორიკოსო, მოპოლიტიკოსო ბატონები ერს დარიგებებს აძლევენ:

რომ „მზე ჩრდილოეთიდან ამოდის,

რომ „პარლამენტი ისეთია, როგორც თავად ხალხია",

რომ „მომჭირნე დიასახლისი 10 ლარადაც მოახერხებს ოჯახის გამოკვებას",

რომ „ნაჯახის რუსეთს ბაბაია უნდა უძახო",

რომ „თურქული უნივერსიტეტი ისე სჭირდება საქართველოს, როგორც ბენზინი",

რომ „ჭეშმარიტებას სამშობლოზე მაღლა აყენებენ".

როგორც ჩანს, ეს ჭეშმარიტად ძვირფასი პოსტულატი ბატონ ფილოსოფოსს უდავო ჭეშმარიტებად მიაჩნია, ან ჩვენთვის, მოსახლეობისათვის სპეციალურად გამოაცხო. გავბედავთ შევედავოთ. აქ, ამ დებულებამსჯელობა-მტკიცებაში ორი სხვადასხვა რიგის ცნებაა ურთიერთსაპირისპირო, განგებ დაპირისპირებული „ჭეშმარიტების", — როგორც უმაღლესი რიგის ცნებას განგებ დაუპირისპირეს „სამშობლოს" ცნება. ამ სუფთა, ელეგანტურ „ჭეშმარიტებას" ეს ყველგან ნათრევი, დაჩიავებული, გაქუცული „სამშობლო" გაუმაგრდება. მით უმეტეს, როცა მასში პატარა საქართველო იგულისხმება. დახეთ, ამ აზრს, ამ მტკიცებას როგორი უცხო სხეულის — ტროას ცხენის მაგვარი „საჩუქრის" სუნი უდის. გაგიკვირდება სწორედ, ისეთი უცხო აზროვნების, ისეთი „რუსული ტრამალის" სუნი იგრძნობა, დიდ და ვრცელ რაღაცას პატარა საქართველო უპირისპირდება, მით უმეტეს, როდესაც ზურგს ისეთი მსოფლიო ავტორიტეტი უმაგრებს, როგორიც ანდრეი სახაროვია, რომელმაც ბრძანა: „Грузия малая империя". ეს რაღა მაჭრლაჯუნა ჭეშმარიტებაა, რა ქიმერა ურჩხულია? „პატარას" თუ ჩამოვაცილებთ, ნახეთ რა საინტერესო რამეს მივიღებთ: „საქართველო არის იმპერია" — აი მესმის ჭეშმარიტება: "Широка страна моя родная" ისმის თითქოს საიდანღაც და „სხვა საქართველო სად არის", „შენ ხარ ვენახი" დანთქმა სურს.

საქართველო — იმპერია, თუნდაც პატარა — სასაცილოა!

ვინც საქართველოს ისტორია იცის, მან შეიძლება ხუმრობით, ე.ი. დაცინვით უწოდოს მას იმპერია, ამ „ხუმრობის" ავტორს კი ალბათ სხვა რამ აწუხებდა, სხვა რამ ჰქონდა უზურში.

„Будь как будет, шагает в ногу со всеми – таково общее правило" — ყოველნაირად ცდილობს მოგვახვიონ თავს და გვახვევენ კიდეც. რუქას რომ შევხედოთ ის თვითონ მეტყველებს ყველაფერზე. მხოლოდ მოძრაობა, განვრცობა, დაუფლება ჩვრით, ენით, ძმობით, კულტურით და უკულტურობით — ეს არის მისი სიცოცხლე, მისი აზროვნების წესი.

საქართველო პატარაა, მაგრამ იქნებ ამაშია მისი გენის საიდუმლოება. ამ პატარა ქვეყნის 2000—3000 წლიანი არსებობის მანძილზე მხოლოდ ბრძოლა იყო, ხმლიანი თუ უხმლო ბრძოლა, ენის, მამულის სარწმუნოების დასაცავად.

**ვ. ირემაშვილი**

## «კაცი იყავ კაცური და... იქ ილოცე, სადაც გინდა»

**„რა გითხრათ,** რით გაგახაროთ!.. გასახარელი რომ არაფერი გვაქვს ქართველებს, ეს ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, ჩემო მკითხველო. სათავშისაცემო და სავაი-ვიშო კი ბლომად.

ყოველ ადამიანს აქვს თვისება რაღაც შეცდომის, წარუმატებლობის, დამნაშავის სხვაგან ძიების, ეს თვისება ქართველ ერსაც გააჩნია და ვეძებთ მუდამ განტევების ვაცს პიროვნებასა თუ მეზობელ ქვეყნებში. ვეძიებთ და ვპოვებთ კიდეც, და ჩვენც ქართველები, ჩვენს უბედურებას ყველასა და ყველაფერს ვაბრალებთ საკუთარი თავის გარდა. არა და რაცა გვჭირს, ჩვენის მცონარობით, სიზარმაცით, ბაქიაობით, უგულობითა და უვიცობით გვჭირს.

კაცი წყალს მიჰქონდა, — „ღმერთო მიშველეო", შესთხოვა ღმერთს — „ხელი გაანძრიე და გიშველიო" — იყო პასუხი. სამოცდაათი წელი ხელის განძრევაზე კი არა და გაფაჩუნებაზეც კი ფიქრი ზედმეტი იყო. დაინგრა, მოიშალა და ჩამოიქცა ის ავადსახსენებელი „ბოროტების იმპერია". „ზომიერი ლაგამისაგან" თავი განთავისუფლებულად ჩავთვალეთ და ისეთი ხელ-ფეხის ქნევა დავიწყეთ, ისე ავფართხალდით და ილიასი არ იყოს, ისე „გავიქნიეთ ხელი-ფეხი", რომ არც საკუთარი თავი დავინდეთ და არც მომავალი. ამ ფართხალისაგან გაოგნებული ჩვენი ამლაგმველი თვალებდაჭყეტილი შემოგვქცეროდა... მერე იფიქრა: იქნიონ ბატონო, ვის რას ავნებენ საკუთარი თავის გარდაო და იმდენად მიუშვა ის „ლაგამი", რომ ნაკლებად საგრძნობი ყოფილიყო.

„ენა გვეკარგებაო", — იყვირა ერთმა და ვიყვირეთ ჩვენც. ენის სიწმინდის დაცვა სიტყვა „პომიდვრის" გადმოქართულებით დავიწყეთ და სხვა პრობლემებით რომ არ დავკავებულიყავით, მთელს თუ არა ნახევარ საქართველოს გავაქცევდით ქვეყნიდან. ის სხვა პრობლემა, „ამ ეროვნული" ქმედებისაგან რომ მოგვაცდინა, ერთმანეთის ხოცვაჟლეტა გახლდათ. რუსთაველის გამზირზე ორ მტრულ ბანაკად გაყოფილებმა ერთმანეთს „ჰაუბიცები" და ყუმბარმტყორცნები არ დავაკლეთ. ამ „საქმის გარჩევის" დროს ჩვენს ამლაგმველს ბევრი აღარ უფიქრია და „მომრიგებელი მოსამართლეც" გამოგვიგზავნა. იმ ჩამოსულმა ზოგი „მოარიგა", ზოგიც „დაარიგა" ციხეებში და ლაგამიც ისე ზომიერად ამოგვდეს. ცოტა ხანი კიდევ ვიხვიხვინეთ, თავბედი ვიწყევლეთ ჩვენი ხელით მინგრეულ-მონგრეულ, დაშლილ-დანაწევრებულ ქვეყანას რომ გადავხედეთ და ისევ ღმერთს დავუწყეთ მუდარი — გვიშველეო! ცოტა დავფიქრდით, ჩვენმა მართლმადიდებელმა იესომ და მამალმერთმა იქნებ ვერც კი გვიშველოსო და როცა გავიხედ-გამოვიხედეთ, იმდენი მაცდუნებელი, ლამაზი, ლოყებღაჟღაჟა ღმერთები დავინახეთ, რომ ახლა მათი ქადაგება დავიწყეთ. ხელიც შეგვიწყვეს, ოღონდ ქართველებმა ღმერთი იწამონ და სულერთია ვის იწამებენ. მოვიდნენ მქადაგებელნი: იეღოვას, ბაფტიზმის, ბუდიზმის, კრიშნის, „ხსნის არმიაც" მოგვევლინა მხსნელად. ერთ ულუფა წყალწყალა „ბორშჩზე" სულ „ჰარიკრიშნა" გვაძახებინეს. დაერივნენ უპატრონო და გაოგნებულ ქართველთა სულებს, წაბილწეს და შეგვირყვნეს წმიდათაწმიდა. ხატზე აღარ გვალოცვინებენ, სანთელს არ გვანთებინებენ, ქუჩაში უტიფრად ქადაგებენ უღვთობას და ურწმუნოებას, საფუძველთა საფუძველს გვირყვნიან და ლიბო-საძირკველს გვაცლიან ფერხთქვეშ. ხატებს და ეკლესიას გვიგინებენ, ჩვენ კი მშვიდად დავდივართ თბილისის ქუჩებში და ვლიღინებთ: „კაცი იყავ კაცური და იქ ილოცე, სადაც გინდა".

**ანა ჯუღელი**

## ჩამნარებული თაფლობის თვე...

**ნორმალური** ბიზნესი დაფუძნებულია ჰუმანურ, ცივილიზებულ პრინციპებზე. გამორიცხავს ყოველგვარ სიცრუეს. პატიოსნება ისე არსად არ არის საჭირო, როგორც აღებ-მიცემობაში, ვაჭრობაში, საბანკო ურთიერთობებში. საქმიანი ბიზნესის სფეროში ურთიერთობა აგებული უნდა იყოს გულახდილ კოლეგიალურ საფუძველზე, ურთიერთნდობასა და პირდაპირობაზე. ნამდვილი საქმიანი კაცი სიტყვის პატრონია. მას შეუძლია დაპირების შესრულება.

ბიზნესის მატერიალური კეთილდღეობა უნდა ეფუძნებოდეს არა მტაცებლურ სისტემას და ჯუნგლის კანონს, როცა ადამიანი ადამიანისთვის მგელია, არამედ ჰუმანიზმსა და კაცთმოყვარეობას. ჰენრი ფორდის თქმით, კაპიტალის მთავარი მიზანი რაც შეიძლება მეტი ფულის მოხვეჭა კი არაა, არამედ ის, რომ ფულს ცხოვრება გაუმჯობესებისაკენ უნდა მიჰყავდეს.

საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ახალი პროგრესული ძალა არ შემატებია ჩვენს სახალხო მეურნეობას. საქმიანობას მრეწველობასა და ვაჭრობაში მეტწილად ეწევა ის პირი, რომელსაც აკლია თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაფერი სწავლაგანათლება.

საქართველოში კოოპერატორებმა

გაგრძელება მე-6 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩამწარებული თაფლობის თვე...

მეოთხე გვერდიდან

ოცი მილიარდიდან მხოლოდ ორი დაუბრუნეს სახელმწიფოს (გაზ. „თბილისი" 23.08.90 წ.). ბევრ სხვა საქმეშიც „ისახელეს" თავი. მათ ოდნავადაც არ გაუცნობიერებიათ საბაზრო ეკონომიკის ანა-ბანა, კერძოდ — ვაწარმოოთ ის საქონელი, რაც მომხმარებელს სჭირდება.

როცა სახელმწიფო ხაზინა დაცარიელდა, ჩვენი საქმოსნები, „ნოვატორები" მოსახლეობას მიუბრუნდნენ. ზედიზედ იქმნება ბანკები, კომპანიები. პირველი მერცხალი მაღალი დივიდენდით (12,5 %-ით) სააქციო-კომერციული ბანკი „ინოვაციაა", რომელიც ოთხმოცდაცამეტი წლის ივლისში შეიქმნა. დასაწყისში, როგორც ეს თაფლობის თვეს ხდება, საქმეები კარგად მიდის, მაგრამ შემდგომ უფრო მაღალი დივიდენდიანი კომპანიები ლუკმა-პურს ართმევენ „ინოვაციას", რომელიც არც ისე მოსაგებ საქმეში აბანდებს კლიენტად წოდებულ მეანაბრის სახსრებს.

თითქოს წელში გაიმართა „სასკო", მაგრამ ბედმა უმუხთლა „ქოლორს".

ამ დროს, ე.ი. ივნისის დასაწყისში „კაპიტალინვესტი", ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტით, ზენიტშია. არნახული დივიდენდებით თავბრუდახვეული მეანაბრეები სახლებსაც ყიდიან და მით უფრო მანქანებს, რადგან დოლარი ცამეტჯერ იზრდება, მანეთი — ცხრამეტჯერ, კუპონი ოცდაცამეტჯერ. ხუმრობა როდია, გაყიდი ქოხს, შეიტან „კაპიტალინვესტში", წლის ბოლოს ააშენებ ქარვასლას, მოიშორებ ამორტიზებულ „მოსკვიჩს", შეიძენ უცხოური მარკის მანქანას, თუნდაც კადილაკს, მაგრამ განა ეს სოფელი...

აგერ „ოქროს თასი" მრავალნაირ დივიდენდებს პირდება მეანაბრეებს. თუმცა, ჰაერში ცუდი სუნი ტრიალებს, მარტო ჭაბუა ამირეჯიბის და მისი „რანგის" ადამიანთა საქმიანი შეძახილი რად ღირს. ამ დროს „კაპიტალინვესტს", ალბათ შეგნებულად, ნატო ონიანი უწევს რეკლამას „ტაიმაუტში". და მაინც ამ კომპანიის თაფლობის თვე ჩამწარებულია. გაკოტრდა „კაპიტალინვესტი", ოცდაოთხი წლის პრეზიდენტი მაცალეთი-ამბობს, გაცეცხლებული მეანაბრეები ცოფსა ყრიან, მოცდა არ სურთ, არც გაემტყუნებათ...

„მონარქს" რა ჭირი ეცა? ისიც გაკოტრდა? არა, „მონარქი" არ გაკოტრებულა, რადგან ის-ის იყო დაიწყო დივიდენდების გაცემა. სჩანს თავიდანვე ასე ჰქონდა განზრახული, მოეგროვებინა მილიონამდე დოლარი, მაგრამ არ დასცალდა, ორას ოცდახუთი ათასი დააკლდა. „ოქროს თასს" ნაადრევად გაელვიძა მადა გაქცევისა, წერილი კი დატოვა ათას ექვსასი მეანაბრისათვის, ერთ თვეში დავბრუნდებიო, მაგრამ აგერ ოცდაერთი თვეა არავინ იცის მისი ასავალდასავალი. პირველი მერცხალი გაქცევაში „აჩის" პრეზიდენტი იყო. ამ კომპანიის ახალი მესვეურნი ასი ათასი დოლარით სააქციო საზოგადოებას ქმნიან, რათა ახლო თუ უშორეს მომავალში დაზარალებულ მეანაბრეებს დაუბრუნონ სულ ცოტა სამი მილიონი დოლარი. ის ასი ათასი დოლარი (სულ სამი პროცენტი) სადაა ჩადებული, ისიც ვერ გაუგიათ ორი წლის განმავლობაში დაზარალებულ მეანაბრეებს.

ხუთი თვეა, რაც დაიწყო გაკოტრებულთა გასამართლება. მამუკა აკოფაშვილის („კაპიტალინვესტი") სასამართლო პროცესით უნდა დაინტერესებულიყო ჟურნალისტი ნატო ონიანი.

საკითხავია, რატომ არ მოუხადა ბოდიში მეანაბრეებს ჭაბუას ჯგუფმა, რომელიც დამცველად მოევლინა იმ დროს „ოქროს თასს"?

გაცოფებულმა „ოქროსთასელებმა" რუსთაველის პროსპექტი გადაკეტეს. სახელმწიფოს მეთაურმა „ყველა შესაძლებლობის გაკეთება" აღუთქვა მათ საჯაროდ. მაგრამ აგერ ოცდაერთ თვეზე მეტია, არაფერი გაკეთებულა. პრეზიდენტები „ოქროს თასისა" თუ „მონარქისა" მშვენივრად გრძნობენ თავს მეანაბრეთა ფულით გალაღებულნი. „ერიქსის" გენერალური დირექტორი რა ხანია სანჯელს იხდის, რომლის დავალიანება თხუთმეტ ათასს დოლარსაც არ შეადგენს.

აგერ ორ წელზე მეტია, რაც დაიწყო გაკოტრების პროცესი, მთავრობას კი რაიმე ძარღვიანი გადაწყვეტილება არ მიუღია. რამდენი გაჭირვებული, ინვალიდი და მარტოხელა მოხუცია მათ რიგებში, მათი შენატანიც (ალბათ რაღაცა გაყიდეს) ას დოლარამდეა, იშვიათად ორასამდე. ხომ შეიძლებოდა მათი ვაუჩერებით დაკმაყოფილება ან არსებული თანხიდან („აჩის" ასიათასი დოლარი, „კაპიტალინვესტის" ოცდაშვიდიათასი) დაკმაყოფილება.

„თევზი თავიდან ყარსო" — ტყუილად როდია ნათქვამი.

**თამარ კემულარია**

# ჩეჩნეთი: თავისუფლება ან სიკვდილი

მეორე გვერდიდან

ინახავს, აჭმევს და აცმევს მებრძოლებს. ბოევიკები, დღისით „ჟიგულებით" დადიან ქალაქის ქუჩებში და სხვებისგან მათი გამორჩევა შეუძლებელია. „ვერასოდეს ვერ იტყვი დარწმუნებით, ვინ ვინ არის. დღისით გიცინიან, საღამოთი ტყვიას დაგახლიან" — ამბობს ერთი რუსი ჯარისკაცი. რუს ახალწვეულებს დაძონძილი ტანსაცმელი მოსავთ, ისინი სანახევროდ მშივრები არიან და ხელფასიც მწირი აქვთ. ისინი გუბეების წყალს ხვრეპენ და საკუთარ იარაღს მტერს ყიდიან, რათა ლუკმა პურის ფული მაინც მოიპოვონ.

ბევრმა არც იცის — რატომ იბრძვის, რადგან არც მთავრობამ უწყის ხეირიანად, თუ რატომ წამოიწყო ეს ომი. ჩეჩნები კი მზად არიან თავისუფლებას სიცოცხლე ანაცვალონ. ამაყი, დამოუკიდებლობის მოყვარე და მამაცი ჩეჩენი ხალხი საუკუნეების მანძილზე იბრძვის თავისუფლებისათვის. იგი მუდამ ეწინააღმდეგებოდა რუსულ კოლონიზაციას. და აი, ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი კულტურა, ორი ტრადიცია, ცხოვრების ორი ყაიდა. ეს ომიც ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაა.

ჩეჩნების მკაცრი დისციპლინა მათი წარმატების საწინდარია. მუდამ ფხიზელნი, ისინი ებრძვიან გაუწვრთნელ, იმედგადაწურულ და ხშირად მთვრალ რუს ჯმაწვილებს. ჩეჩენი მებრძოლები უსიტყვოდ ემორჩილებიან სარდლობის ნებას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა მათგანმა მხარი არ დაუჭირა საკუთარ ხელმძღვანელობას, როდესაც ამ უკანასკნელმა, საპრეზიდენტო არჩევნებში ელცინთან თანადგომა ირჩია.

ჩეჩნებს, რომელთათვის „სიტყვის გატეხვას თავის გატეხვა სჯობს". ვერ გაუგიათ რუსი ჯარისკაცების თავგამოდება. იმ დროს, როდესაც რუსეთის მმართველები ყოველ ნაბიჯზე ღალატობენ საკუთარ ჯარისკაცებს. ჩეჩნებს არც ერთი რუსული ოჯახი არ გაუძევებიათ, პირიქით, ისინი იცავენ მათ „მოსკოვის ყუმბარებისაგან". მათ ხშირად შეუკედლებიათ დეზერტირი ჯარისკაცები. არა ერთი და ორი ჯარისკაცი დაუბრუნებიათ შვილების საძებრად ჩამოსული დედებისათვის. მათი შურისძიება მხოლოდ დაქირავებულ მებრძოლებზე ვრცელდება.

ჩეჩნებმა კარგად იციან მტრის ჩვევები, ჯარის მიერ ძველი დროიდან მემკვიდრეობით გადმოცემული მანკიერებანი. რუსეთის ხელმძღვანელობა კი ისევ-ისე ჯიუტობს და ჩეჩნებს



„მაფიოზურ ერს" უწოდებს. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს კი „ყაჩაღებს". რუსეთი დღესაც სათანადოდ ვერ აფასებს მეტოქეს, იგი ცდილობს მოაშთოს ჩეჩენთა წინამძღოლები, რადგანაც იმედოვნებს, რომ ამით მათ წინააღმდეგობას დაძლევს. მაგრამ ჩეჩნეთში იმდენივე გმირია, რამდენიც წმინდა საქმისთვის წამებული და შიშველი ძალა ვერასოდეს დაამარცხებს ამ კავკასიელი ხალხის თავისუფლებისკენ სწრაფვას.

**ი.ლ.**

(„ფიგარო", 14 აგვისტო, 1996 წ.)

ფრანგულიდან თარგმნა **გიორგი ეკიზაშვილმა.**

ინტერვიუ ბრალდებულთან

# ოცნებათა მსხვრევა

**შემთხვევა** მომეცა გავსაუბრებოდი ცნობილ ქირურგს ლენგო კოჩაძეს — კაცს, რომელიც უანგაროდ ეხმარებოდა თავის ხალხს, სისხლსა და ენერგიას არ იშურებდა გაჭირვებულების დასახმარებლად და ახლა...

ათასი ჯურის დამნაშავეებთან ერთად დილეგში იმყოფება.



— რამ განაპირობა, რომ თქვენ, უმაღლესი კატეგორიის ქირურგმა, მიატოვეთ თქვენი პროფესია და ბიზნესში მოხვედით?

— არასოდეს ფიქრადაც არ მომსვლია ჩემი სპეციალობის დათმობა. პირიქით, მსურს შევქმნა ისეთი კლინიკა, სადაც ჩემი ხალხი მიიღებს ევროპულ დონეზე მომსახურეობას. ეს მიზანი ჩემთვის სიცოცხლის ტოლფასია.

— რით დაიწყო თქვენი ბიზნესი?

— 1991 წელს საქართველოში არსებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე, განსაკუთრებით პერიფერიებში. ჯანდაცვის სამინისტროს მითითებით უნდა შეგვექმნა კომერციული სტრუქტურები, რომლებიც ხელს შეუწყობდა თვითდაფინანსებას. აღნიშნული მითითების ფონზე 1992 წლის დასაწყისში რამდენიმე ენთუზიასტი ექიმის მონდომებით რაიონში ჩამოყალიბდა ფირმა „მედიკოსი", რომლის პრეზიდენტადაც მე ამირჩიეს. თუმცა ამ ფირმას 1993 წლის ივლისამდე არცერთი ოპერაცია არ უწარმოებია, რადგანაც ჩვენ არ შეგვეძლო ბაზრის სპეკულანტის როლი გვეთამაშა. აქტიური მუშაობა ფირმამ დაიწყო 1993 წლის ივლისიდან, რაც განპირობებული იყო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურ ბ-ნ ე.შევარდნაძესა და ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ნაზარბაევს შორის დადებული სამთავრობო ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით. ეს პუნქტი ითვალისწინებდა 1993 წლის შემოდგომაზე საქართველოს მძღოლებისა და ტექნიკის მივლინებას ყაზახეთის რესპუბლიკაში ხორბლის აღებაში დასახმარებლად. სამაგიეროდ, ყაზახეთის მხარე ვალდებულებას იღებდა გარკვეული რაოდენობის ხორბალი მიეყიდა საქართველოსთვის შეღავათიან პირობებში. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ხსენებული პუნქტის განსახორციელებლად რესპუბლიკის მაშინდელ მთავრობას მითითება ჰქონდა მიცემული სახელმწიფოს მეთაურისაგან. დრო გადიოდა და ნათელი გახდა, რომ საქმე მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა და მითითებასაც პრაქტიკული ხორცშესხმა არ ეტყობოდა. დრო კი საშური იყო, ვინაიდან ყაზახეთში ხორბლის აღება სექტემბრის ბოლოს უკვე დამთავრებული უნდა ყოფილიყო. ყოველივე ეს მე გავიგე ქ.ქუთაისის მერის ბ-ნ თ.შაშიაშვილისაგან. მასთან მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტილება მივიღე, ეს მისია ფირმა „მედიკოსს" თავისთავზე აეღო. თუმცა ფირმის სხვა წევრებისაგან წინააღმდეგობას წავაწყდი, რადგანაც ამ დროს აფხაზეთში მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები და ერთადერთი გზა მძღოლებისა და ტექნიკის გადაყვანისა ჩეჩნეთზე გავლით იყო, რაც საშიშროებას ქმნიდა. დროის სიმცირის გამო ოპერაციის განხორციელების მთელი პასუხისმგებლობა ჩემს თავზე ავიღე და უმოკლეს ვადაში მოვახერხე ყაზახეთში ხელშეკრულების გაფორმება. ამის შესახებ დაბრუნებისთანავე ვაცნობე ბ-ნ თ.შაშიაშვილს, რომელმაც თავის დროზე დახმარება აღმითქვა და რომლის იმედითაც შევუდექი ამ საქმეს. მანქანების შეგროვების პროცესში აღნიშნული ოპერაცია ცნობილი გახდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის, რის გამოც სასწრაფოდ მიმიწვიეს თავისთან. ამ ოპერაციამ უკვე რესპუბლიკური მნიშვნელობა მიიღო.

სახელმწიფოს მეთაური მთელი ძალისხმევით შეუდგა ჩემს მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების განხორციელებას. მისი უშუალო მითითებით, ხელშეკრულების განხორციელებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ბატონებმა ა.მარგიანმა, დ.გუმბარიძემ, გ.დათუნაიშვილმა, თ.ფიფიამ, რკინიგზის სამსახურის წარმომადგენლებმა ო.ბიჭიაშვილმა, მ.კიკნაძემ და რკინიგზის დეპარტამენტის უფროსმა რ.ვაშაკიძემ. მეტად რთულ პირობებში მოიძებნა 300 ავტომანქანა, 700-ზე მეტი მძღოლი, ტექნიკური პერსონალი და საქართველოს მანქანებით დატვირთული ხუთი ეშელონი, ზუსტ დროში, 15 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩეჩნეთზე გავლით ჩავიდა ყაზახეთის კუსტანაის ოლქში. ქართველმა მძღოლებმა მძიმე კლიმატური პირობების მიუხედავად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა, რის გამოც მათ დაიმსახურეს ადგილობრივი ხელმძღვანელობის დიდი პატივისცემა და მიიღეს სოლიდური ანაზღაურება. 5-დან 10 ოქტომბრის ჩათვლით დავბრუნდით საქართველოში. ამ გზას შეიძლება წამების გზა ეწოდოს. ჩეჩნეთში 13 დღის განმავლობაში დაპატიმრებულნი ვიყავით. ბ-ნი ე.შევარდნაძისა და საქართველოში რუსეთის ელჩის ბ-ნ ვ.ზემსკის უშუალო ჩარევით, ასევე ჩემს მიერ ჩეჩნების მატერიალური დაინტერესების წყალობით, ყველა მძღოლი და მანქანა უკლებლივ დაბრუნდა საქართველოში.

— როგორც თქვენ აღნიშნეთ ყამირზე თქვენი მუშაობა საკმაოდ შედეგიანი იყო. თუ შეიძლება განმარტეთ რა სარგებლობა ნახა ამით რესპუბლიკამ და ფირმა „მედიკოსმა"?

— ფირმის მიერ ჩატარებულ ამ ოპერაციას აქვს როგორც მატერიალური, ასევე პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩვენს შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, როგორც კაციჭამიებისა, გაქარწყლდა. თუ ადგილობრივი მოსახლეობა თავიდან უნდობლობას გვიცხადებდა, შემდეგში სითბოთი და სიყვარულით გვეკიდებოდა. გარდა ამისა, სხვა რესპუბლიკების: რუსეთის, უზბეკეთის, მოლდოვის, ყირგიზეთის დროშებთან ერთად საქართველოს ეროვნული დროშაც აღიმართა. 700-დან თითოეულმა მძღოლმა მინიმუმ 2 წლის სამყოფი სურსათ-სანოვაგე დააგროვა. გარდა ამისა, თითოეულს ხელფასის სახით ერგო 400.000 რუსული რუბლი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ხელფასის 10 წლის ხელფასის ტოლი იყო. საქართველოს რესპუბლიკისათვის ფირმა „მედიკოსს" ყაზახეთის ხელისუფლებამ გამოუყო ლიცენზია და კვოტა 200.000 სასურსათო ხორბლისა და 50.000 საფურაჟე ხორბლის შეღავათიან ფასებში გადასაცემად. აღნიშნული ლიცენზიის გამოყოფას ალმა-ათაში ესწრებოდა საქართველოდან წარგზავნილი სახელმწიფო დელეგაცია ყაზახეთის პრემიერის პირველ მოადგილესთან კულაგინთან შეხვედრაზე.

— უშუალოდ რა გახდა თქვენი დაპატიმრების მიზეზი?

— ჩემი დაპატიმრების მოტივი გახდა ის, რომ თითქოს ფირმა „მედიკოსი" მინისტრთა კაბინეტის №636 დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერს ვიცე-პრემიერი ა.მარგიანი, არასწორად, კანონსაწინააღმდეგოდ იქნა გათავისუფლებული საბაჟო და სხვა გადასახადებისაგან, ამისათვის წარდგენილი მაქვს ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 160-ე მუხლის მე-9 ნაწილით.

— გაუქმებულია თუ არა მინისტრთა კაბინეტის №636 დადგენილება?

— როგორც მე ვიცი, აღნიშნული დადგენილება გაუქმებული არ არის.

— რატომ გაუწია ასეთი შეღავათები თქვენს ფირმას საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა?

— ჩვენს მიერ ყაზახეთის რესპუბლიკიდან შემოტანილი 2400 ტონა ხორბლის ღირებულება საქართველოს პურპროდუქტების კორპორაციამ უსახსრობის გამო ვერ გადაგვიხადა, რის შესახებაც ჩვენს შორის დავა საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა. მიუხედავად საარბიტრაჟო სასამართლოს სამგზის გადაწყვეტილებისა, ჩვენი ვალი პურპროდუქტების კორპორაციას დღემდე მთლიანად არა აქვს გადახდილი. იცოდა რა ამის შესახებ სახელმწიფოს მეთაურმა, მინისტრთა კაბინეტის თითქმის მთელმა შემადგენლობამ, თვითონვე შემომთავაზეს ჯართის შესყიდვა და საზღვარგარეთ გატანა, რათა მოგებით გადამეხადა სახელმწიფოს მიერ ფირმისთვის მიყენებული ზარალი, ამიტომ მინისტრთა საბჭომ გაგვანთავისუფლა საბაჟო და სხვა გადასახადებისაგან, დღეს კი დამაპატიმრეს და ბრალად მიყენებენ, რომ მინისტრთა საბჭომ, კერძოდ ბატონმა ა.მარგიანმა ერთპიროვნულად და უკანონოდ გაგვანთავისუფლა გადასახადებისაგან, რითაც სახელმწიფოს მიაყენე ზარალიო.

საინტერესოა, როდის დაირღვა კანონი, ლენგო კოჩაძის საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებისას თუ ამავე მოტივით მისი დაპატიმრებისას?

რაკი დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ ადამიანს უნდა ჰქონდეს საშუალება სრულიად გამოამჟღავნოს საკუთარი შესაძლებლობები და ერის სამსახურში ჩააყენოს თავისი ნიჭი და უნარი... არ უნდა არსებობდეს შიში იმისა, რომ უანგარო წამოწყება დილეგით დამთავრდება.

ყველა ეს და ამგვარი სხვა უსამართლო ქმედებანი აკნინებს ჩვენს ისედაც გულგატეხილ ხალხს და დაუძლურებულ ეკონომიკას. ამიტომ ნუ აჩქარდებით, უკან გადასდგით პირადი წყენა, რამეთუ „ქმნა მართლისა სიმართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად".

ესაუბრა
**ნანა ჟანჩაველი**

შეხვედრა წარსულთან

# ზოგი რამ ირაკლი აბაშიძის ცხოვრებიდან

**ლიტერატურისა** და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, განსაკუთრებით მწერალთა კავშირის ფონდში, რომ მრავალმხრივ საინტერესო მასალებია დაცული ირაკლი აბაშიძეზე ეს გასაკვირი სრულებითაც არაა!

ჩვენ გვაინტერესებდა პოეტის მოლოდინელი მასალები. ამ მიზნით ვესტუმრეთ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორს ბ-ნ ვახტანგ გურგენიძეს და ვთხოვეთ მოეწოდებინა ჩვენთვის რაიმე საინტერესო ცნობა ქართული მწერლობის წარმომადგენლის, აწ განსვენებული ირაკლი აბაშიძის უკანასკნელი პერიოდის სამწერლო მოღვაწეობიდან.

ბ-ნმა ვახტანგმა დიდზე დიდი სინანული გამოთქვა, რომ არ განხორციელდა მათი მოგზაურობა, რომელიც უნდა შემდგარიყო იმჟამად, აპრილის თვეში, მესხეთ-ჯავახეთში „რუსთაველისა და გალაკტიონის ნაკვალევზე". ასე მოვნათლეთ ეს მარშრუტიო, დასძენს ბ-ნი ვახტანგი.

— რაც შეეხება ბ-ნ ირაკლი აბაშიძის უკანასკნელ ნაღვაწს... — აქ შეჩერდა ბ-ნი ვახტანგი და მისი პირადი არქივიდან იქვე საქაღალდე გადასინჯა და მოგვაწოდა ორი ფურცელი. ერთი იყო ირაკლის პატარა წერილი, რომელიც არქივში მოსვლისას, როცა ვახტანგი არ დახვედროდა, დაეტოვებინა მისაღებში მორიგისათვის და მეორე — ამ წერილზე პასუხი. ბ-ნი ირაკლის წერილში ვკითხულობთ: „ბატონო ვახტანგ! თუ ძმა ხარ, ნუ დაიზარებ, გადახედე ამ ჩემს მოგონებას; მითხარი შენი შთაბეჭდილება ზოგადად და კონკრეტულად შენი შენიშვნები. ხვალ დაგირეკავ! წინასწარი მადლობით და სიყვარულით — შენი ირაკლი აბაშიძე". იქვე ირაკლი აბაშიძეს დაუტოვებია სურათი, სადაც მას, ირაკლი აბაშიძეს, ორივე ხელში უპყრია ქართული ენციკლოპედიის 12 ტომი, წარწერით — „ძვირფას ვახტანგს ირაკლისაგან".

გაგაცნობთ ზოგიერთ ამონარიდს ბ-ნი ვახტანგის საპასუხო წერილი-რეცენზიიდან ირაკლი აბაშიძის ნაშრომზე:

„ბატონო ირაკლი!

უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ სიამოვნებისათვის, რომელიც წილად მარგუნა თქვენმა ეპოქალურმა (დიახ, ეპოქალურმა), ქაღალდზე გადატანილმა გულისტკივილმა, — სევდანარევი „ცხოვრების" წაკითხვამ. ეს არის პირველი, ჭეშმარიტების ამსახველი მონოგრაფია ოცდაათიანი წლების საქართველოს ცაზე ჩამოწოლილი შავი ღრუბლების ფონზე ავბედითი ყოფისა, რომლის ერთი გულსაკლავი ტრაგედია იყო საბედისწერო გასროლა მწერალთა სასახლეში...

ეს ნაშრომი არაა მარტო მოგონება, ეს ყველაზე გონივრული გააზრება — გაკვეთილია, როგორც თანამედროვეთა, ისე მომავალ თაობათათვის, — გაიგონ, როგორ ეპოქაში გვიხდებოდა ჩვენ, ახალგაზრდობას, სწავლა-აღზრდა და შემდეგ ცხოვრება-მოღვაწეობა. ეს უნდა გაიაზროს ყველამ. მაშინ მათ სასაყვედურო არ ექნებათ მშობლებისადმი, რომლებიც რუსული ჩექმის ქვეშ განადგურებული იყვნენ ფიზიკურადაც და მორალურადაც. ეს ყველაზე ნათლად გამოჩნდა დღეს, როცა რუსულმა იმპერიალიზმმა სასტიკად და საბოლოოდ გაქელა მის მფლობელობაში მყოფი არარუსი ხალხების რწმენა და იმედები...

დასკვნა: ეს 80-გვერდიანი წიგნი-ნაშრომი უნდა დაიბეჭდოს სასწრაფოდ, თუნდაც ისეთი ბროშურის სახით, როგორსაც უშვებდა მასობრივი ტირაჟით საზოგადოება „ცოდნა", ან „წიგნის სამყარო", ან რუსთაველის საზოგადოება, რომლის შემქმნელი და პირველი პრეზიდენტიც თქვენ ბრძანდებოდით".

როცა ამ მასალას გავეცანი, დავინტერესდი ირაკლი აბაშიძეზე არსებული სხვა დოკუმენტებითაც. ბატონმა ვახტანგმა საქაღალდე გადმოიღო და შემომთავაზა ფართო მკითხველისათვის ასევე საინტერესო და ფაქტიურად უცნობი, ნიკა აგიაშვილის მოგონება ირაკლი აბაშიძისა და ლადო ასათიანის ურთიერთობაზე. გთავაზობთ ამ მოგონებას:

— „1939 წლის ახალწლის დღეებში ჩვენსას (მშრომელთა ქ. №13 — ახლა სხულუხიას ქუჩა) იყო რამდენიმე ახლობელი ამხანაგი, მათ შორის ირაკლი აბაშიძე, ალიოშა დგებუაძე და სხვები. ამ დღეს ლადო ასათიანსაც ვთხოვე, მოსულიყო ჩემთან, მაგრამ... რაღაც მოიმიზეზა და ასე მითხრა: მართალია, დღეს სადილის ფული არა მაქვს, მაგრამ მაინც ვერ წამოვალო. შემდეგ ერთი თუმანი მთხოვა, ჩემთვის ცალკე ვიქეიფებო და მეც მივეცი ის ერთი თუმანი. საღამოს გიორგი შატბერაშვილმა დაიგვიანა, ქუჩაში (საბჭოს ქუჩაზე) გამოვედი. აფთიაქიდან მინდოდა დამერეკა გოგისათვის. ამასობაში ლადოს 10 მანეთი „ნორჩი ლენინელის" შიკრიკისათვის გასამრჯელოდ მიეცა და ირაკლისთვის ერთ, დიდ ქაღალდის ფურცელზე დაწერილი ორსტრიქონიანი ლექსი გამოეგზავნა. როცა შინ დავბრუნდი (გოგის ტელეფონით ვერ დავუკავშირდი, რადგან მას უკვე გამოესწრო და სახლში დამხვდა), ირაკლის ხელში ეჭირა ის ქაღალდი და გულმოსული ჩანდა. იქვე პატარა ბარათი დაწერა და იმ შიკრიკს გადასცა ლადოსათვის. წერილში საყვედურობდა, ეს რატომ მაკადრე, ასეთი ხუმრობა მეც ვიცი, მაგრამ სხვა დროსა და სხვა გარემოებაშიო. ასე რომ, — იმ დღის ლხინში მაინცდამაინც ხალისიანი ვერ იყო. მეორე დღეს ლადოს ვუსაყვედურე, ეს რატომ ჩაიდინე-მეთქი. ის სიცილით კვდებოდა: მაგრე მოუხდებაო. მერე კი რცხვენოდა. ის ოთხი სტრიქონი ასეთია:

„შენ ხალტურშჩიკთა იყავ გენია,
და ეს ხალტურა ახლაც
თანა გდევს,
ახლა, როდესაც ასე წრფელია
გზა პოლუსიდან თვით
ხასანამდე!.."

მერე ერთხანს, ერთმანეთს ხმას არა სცემდნენ, მაგრამ ირაკლი თანდათან მოლბა და როცა ლადომ ქვემოთ მოთავსებული გრძელი, გალექსილი წერილი გამოუგზავნა, სულ დაივიწყა ის ამბავი და აღარ უხსენებია არასოდეს. ამგვარად ლადოს ეს „პასუხი ირაკლისადმი" იმ 1939 წლის საახალწლო ინციდენტების გამოა დაწერილი:

## „პასუხი ირაკლისადმი"

საკრიმე ხარ, სამოსკოვე, სახონე
თუ საიალტე[1]
უნდა ჩანდეს, ერეკლეჯან,
თბილისში რომ გაიზარდე,
თორემ ისე ისიანიც ქე წავიდა
მოსკოვისკენ, —
ქე წავიდა, ქე ჩამოვა: — ისევ
— ისე...
ეს საერთოდ, სხვათა შორის
(სიტყვა რომ არ გამოდისო),
მაგრამ გწამდეს, ეს ბარათი არ
იქნება საბოდიშო.
„საბოდიშოს" იმერეთში
უმღერიან ბატონებსა,
ბატონობა აგაშოროს ღმერთმა,
დაგწვას მარტო ლექსად,
მოუხე „ჩვენს თაობას" და
სასახლის ბატონებსა.
მარგიანი კი არა ვარ, სალაქუცო
გითხრა რამე,
მხოლოდ იგი მენანება, ქეიფი რომ
ჩაგიშხამე,
მაგრამ მჯერა, თუ მეწვევი,
ღვინოს ჩაფით დაგისხამენ,
არ დალევ და... დარდიმანდთა
ოჯახიდან გაგრიცხავენ.
რა[illegible] კი არა ვარ, ხან ეს არის,
ხან ის არის[2],
ხან [illegible],
ხან [illegible],
ისევ ბეჭდვენ წერილებსა ქალნი
არამხანისანი...
„თაობაში" ვერ მივდივარ,
ნიკასაგან გაგიგია,
მალე მოვალ და კარები ჩემთვის
თუ არ გაგიღია,
სულ დავლეწავ, რაც მწერალთა
სასახლეში აგიგიათ.
ნონეშვილი კი არა ვარ — ფული
დასტად ამიღია,
არაფერი უჭამია, საწყალობელს,
სამი დღეა.
არც ჟაკი ვარ, არავისგან ჯვანსი
არ წამიღია...
ვაჟკაცი ვარ, დამილეწავს, თუკი
სადმე დამირტყია.
ჰოდა, ასე, შენც უთხარი ნიკას,
ეთერს და ერემას:
თუ მოვიდა, დაიმალეთ,
თორემ ყველას დაგერევათ!
ყველასათვის კი არ მითქვამს ეს
შაირი გარიყული,
ახლა უნდა დავისვენო, მეც
მჭირდება „კანიკული",
ლექსაობა დაგიწუნე, გაგაბრაზე
— გაგეგება,
თორემ სხვაგან: ხალხში, ძმებში
— მიმღერია შენი ქება!
პოეტი ხარ ჯეროვანი; ვით
გაკადრო განქიქება?
მე მგონია, უნდა მოხდეს, ირა,
ჩვენი შერიგება!

ლადო ასათიანი,
1939 წ., 4 იანვარი, თბილისი

ასე „ამოიწურა" ეს ინცედენტი. ლადო ისევ ჩვეულებრივად დადიოდა მწერალთა კავშირში, „მნათობისა" და „ჩვენი თაობის" რედაქციებში, კვლავ ჩვეულებრივ ბეჭდავდა ლექსებს და მასაც ჩვეულებრივად ეპყრობოდნენ ყველანი, როგორც სხვა მის ტოლ-მეგობარ ახალგაზრდა პოეტებს.

ნიკა აგიაშვილი, 1977 წელი, 20 მაისი, თბილისი"

**მოამზადა გელა იზოშვილმა**

1. ირაკლიმ იმ წელს მოსკოვიდან იალტაში გამოიარა და იქ დაისვენა.

2. „ლიტ. საქართველოს" რედაქტორის კაბინეტში რამდენიმე ღამეს ცხოვრობდა საქართველოში ჩამოსული ავღანეთის მეფე — ამანულა ხანი.

---

წიგნის სამყარო

# «სხალთის ზარები»

**ფილოსოფიურ** მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ მახარაძე ქართველი მკითხველისათვის პირველ რიგში ცნობილია ნეოპლატონიზმის, შუა საუკუნეების ფილოსოფიის, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიისა და რენესანსის პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით.

მ.მახარაძის პუბლიცისტიკაში, რომელიც მოიცავს ბოლო წლების საქართველოს კულტურულსა და პოლიტიკურ ცხოვრებას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აჭარის თემატიკას. იგი, როგორც მეცნიერი და მწერალი, თავისი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით, მუდამ ეხმაურებოდა და ეხმაურება მის მშობლიურ კუთხეში — აჭარაში მიმდინარე პროცესებს. ამ მხრივ მისი პოზიცია ანგარიშგასაწევიცაა და ღირებულიც.

პრესის ფურცლებზე, აჭარის თემისადმი მიძღვნილი მისი მრავალრიცხოვანი გამოსვლებიდან, მ.მახარაძემ ერთგვარი პუბლიცისტური რჩეული შეადგინა და ცალკე წიგნის სახით მიაწოდა მკითხველს, სათაურით — „სხალთის ზარები. წერილები აჭარაზე" („მეცნიერება", 1996). წინასწარვე შევნიშნავთ, რომ სარეცენზიო კრებულს აშკარად ატყვია გამომცემლობა „მეცნიერების" სასიკეთო ხელი.

წიგნი სამი განყოფილებისაგან შედგება: 1. პუბლიცისტიკა, ლიტერატურული კრიტიკა, ხელოვნება; 2. კრიტიკა, პოლემიკა, რეპლიკები; 3. გამოუქვეყნებელი წერილები. წიგნში დანართის სახით შესულია აჭარის თემაზე ავტორის მიერ ბოლო წლებში (1989—1995) გამოქვეყნებული წერილების ბიბლიოგრაფია (სულ 106).

I და II განყოფილებაში შესული წერილები სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული იყო როგორც ოფიციალურ ცენტრალურ და ადგილობრივ, ისე თავისუფალ გაზეთებში და მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ ავტორს თითქმის ყველა წერილი გადაუმუშავებია და ამიტომაც არ ტოვებენ ისინი პირველ პუბლიკაციებთან იდენტურის შთაბეჭდილებას და ამდენად წასაკითხადაც მოსაწყენი არაა. როგორც წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, კორექტივები შეხებია დროით ნაკარნახევსა და „ცხელ გულზე" დაწერილს. ვფიქრობთ, ავტორმა ბოლომდე თავი ვერ დააღწია ამას და წერილებში მაინც შემორჩა ისეთი ადგილები, რომელთა ამოღებითაც წიგნი ბევრად მოიგებდა.

რაც მთავარია, წიგნში შესული წერილები, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, აჭარის ბოლო წლების კულტურისა და პოლიტიკის საკითხებს ეხება, ერთიანი, მთელის შთაბეჭდილებას ტოვებენ, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს მთლიანობაში გაიაზროს ბოლო ხანებში აჭარაში მიმდინარე პროცესები. ამასთან, წიგნი დიდად იგებს იმით, რომ ყველგან იგრძნობა ავტორის მყარი პოზიცია: მაქსიმალურად ობიექტური პოზიციებიდან ზოგადქართულ პრობლემატიკაში წარმოაჩინოს აჭარის საკითხები.

ამოცანა, რომელიც მ.მახარაძეს აქვს დასახული, არც თუ იოლი განსახორციელებელი იყო.




მითუმეტეს, რომ ეს წერილები იწერებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საკითხებზე და განსხვავებული სტილის, დონისა თუ ხასიათის ოპონენტებთან პოლემიკაში. როცა ეცნობი წერილების ამ ერთგვარ რჩეულს, რწმუნდები, რომ მ.მახარაძე ამ უკომპრომისო ბრძოლაში სწორ პოზიციაზე იდგა.

წიგნის მთლიანობაში გაცნობით ცხადი ხდება, რომ მის ავტორს ხშირად უთანასწორო პირობებში უხდებოდა პაექრობა. ერთ მხარეს იყო გარკვეული ძალები ერთგული საინფორმაციო საშუალებებითა და ასევე ერთგული შემსრულებლებით, რომლებიც ყველა ხერხს მიმართავენ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად, მეორე მხარეს კი თავის სიმართლეში დარწმუნებული, მაგრამ ეულად დარჩენილი მეცნიერი, მწერალი, რომლისთვისაც უცხოა ნებისმიერი კომპრომისი, როცა საქმე ჭეშმარიტებას ეხება.

ეს პაექრობა რომ ხშირად უთანასწორო იყო, განსაკუთრებით კარგად ჩანს წიგნის მესამე განყოფილების („გამოუქვეყნებელი წერილები") გაცნობის შემდეგ. ამ განყოფილებაში შესული ზოგიერთი წერილის (მაგ. „მეცნიერების ზეიმზე", რომელიც სპეციალურად გაზეთ „აჭარისთვისაა" დაწერილი) გამოქვეყნებაზე უარის თქმა, უბრალოდ გაკვირვებას იწვევს და მხოლოდ ერთ რამეს გვაფიქრებინებს: ამ შემთხვევაში მავანთათვის წერილის ავტორის ვინაობა იყო მთავარი და არა ის, თუ რა ეწერა ამ წერილში.

წიგნის ავტორის მხრიდან უთანასწორო ბრძოლაზე აღვნიშნეთ. სამაგიეროდ ასევე უთანასწოროა ბრძოლა, როცა საქმე ეხება საკამათო საკითხების განხილვის ობიექტურობასა და სიღრმეს. აქ უკვე უპირატესობა აშკარად მ.მახარაძის მხარესაა და ეს უპირველესად იმის გამო, რომ იგი ყოველთვის ცდილობს ჭეშმარიტების პოზიციიდან ილაპარაკოს.

განსაკუთრებით გამოვყოფდით წიგნის მეორე განყოფილებაში შესულ რამდენიმე წერილს („რა სჭირს თბილისს ბათუმში დასაცავი?", „პროვინციული ცნობიერების ბილიკებზე", „სამართლიანი განაჩენი"...), სადაც ავტორი მკაცრ პოლემიკაში პრინციპულ შეფასებას აძლევს როგორც მედროვე ჟურნალისტის, ისე კონიუნქტურას დაქვემდებარებულ მეცნიერთა საქმიანობას, რომელთა პოზიციაც, ნებსით თუ უნებლიედ, დიდად სახიფათოა საქართველოს მთლიანობისათვის. ნიშანდობლივია, რომ მ.მახარაძის ამ გამოსვლებს, ოპონენტებმა პასუხი ვერ გასცეს.

წიგნის გაცნობის შემდეგ, მკითხველს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მ.მახარაძე ზოგჯერ ზედმეტად მკაცრია ოპონენტთა მიმართ. მაგრამ, ვინც იცნობს მის წინააღმდეგ ოპონენტთა გამოსვლების პათოსს, რომლებიც აკრძალულ ხერხებსაც მიმართავენ, ნაკლებად უსაყვედურებს მას ამის გამო. მითუმეტეს, რომ მკაცრი ტონის მიუხედავად, ოპონენტებისაგან განსხვავებით, მას არასოდეს ღალატობს ტაქტი და მისი პოლემიკური წერილები თავისუფალია ლანძღვა-გინებისა და ოპონენტთა დისკრედიტაციის მცდელობისაგან.

მ.მახარაძის ახალი წიგნი — „სხალთის ზარები. წერილები აჭარაზე", ნათელ, ობიექტურ და ამომწურავ პასუხს იძლევა ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე, ბოლო წლების აჭარის კულტურულსა თუ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ეს მით უფრო დასაფასებელია, რადგანაც ამ საკითხზე ჩვენს საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ასე რომ, მ.მახარაძის ეს წიგნი გარკვეული გზამკვლევის როლსაც ასრულებს და ეჭვი არ გვეპარება, რომ მომავალშიც ანგარიშგასაწევი იქნება, კერძოდ, ბოლო დროის საქართველოში მიმდინარე პროცესების შეფასებისას.

**ბონდო არველაძე**

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელოვანის ღიმილი

### რუბრიკის სტუმარია მსახიობი გია ლეჟავა

დღევანდელ დღეს, როცა ამდენი პრობლემებით ვართ გადატვირთული და გაჭირვება ცირილისვენ გვიმიბგემს, ხანდახან ვახერხებთ, რომ ძალით გავიცინოთ, თავის მოტყუების მიზნით. მაგრამ იყო დრო, როცა გულით იცინოდა ხალხი. ღმერთმა ქნას, რომ დიდხანს არ გაგრძელდეს ჩვენი ასეთი განწყობილება. დღეს მინდა გავიხსენო რამოდენიმე თბილისელი, ესენი არიან უმთავრესად ვერელები, ვისთანაც მე ახლოს ვიყავი და მავშვობა და ახალგაზრდობა გავატარე. ნიაზზე აღარაფერს მოვყვები, მასზე იმდენი ითქვა, იმდენი დაიწერა, რომ გამეორება საჭიროდ აღარ მიმაჩნია. უბრალოდ, მოვიხსენიებ, ძველი ვერელების გახსენება მის გარეშე ხომ არ შეიძლება.



არც რა მიშველა ტირილმა,

არცა ცრემლების დენამა,

მიშველა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამა.



#### ბათუმური ამბავი

ცხოვრობდა თბილისში ერთი ასეთი კაცი — ზოსიმე ფოცხიშვილი — აშკარა, გამოკვეთილი კოლორიტი, გულით კეთილი, მომლხენი და დარდიმანდი. იგი ეკრანიდანაც გახსოვთ, ალბათ. აი, ვერის უბნის მელოდიებში „გაუმარჯოს პავლესაა"... რომ იძახის, „რეკორდში", ეპიზოდებში იღებდნენ, სერიოზულ როლებზეც უპირებდნენ, მაგრამ არ დასცალდა. აი, ამ ზოსიმეს მიერ ჩადენილი ერთი ანეკდოტური შემთხვევა მინდა მოგიყვეთ. ბათუმში მოხდა ეს ამბავი. რამოდენიმე ძმაბიჭთან ერთად წავიდა ზოსიმე დროის გასატარებლად. რაღაც გარკვეული თანხა ჰქონდათ და ბევრი რომ არ გავაგრძელო, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ამოეწურათ ეს რესურსები, სმის მეტი არაფერი უკეთებიათ, პლაჟზეც კი არ გასულან. გაიღვიძეს ერთ დილასაც, „პახმელიაზე" არიან, თავები უსკდებათ და არის ერთი ოხვრა-ვიში. ზოსიმემ ველარ აიტანა ეს და გავარდა გარეთ. სად მირბოდა, თვითონაც არ იცოდა, მაგრამ გზაში ნელნელა მოვიდა აზრზე და მიხვდა, რომ რაღაც უნდა მოიფიქროს. დანარჩენები არაფრად არ ვარგიან და ისევ ამან უნდა იშოვოს რაღაც. ინტუიციით მიუახლოვდა სასტუმროს. გაჩერდა. დგას და ფიქრობს. ამ დროს დაინახა, რომ სასტუმროს გვერდით იყო გასტრონომი. ამ გასტრონომს მიუახლოვდა რუსის ქალი პატარა ბავშვით, რომელიც ეტლში ეჯდა. ქალი მაღაზიაში შევიდა და ეს ბავშვი დატოვა ეტლში. უცებვე მოუვიდა იმპროვიზაციულად რაღაც აზრი ზოსიმეს. ნელა მივიდა ეტლთან, არ ვიცი, როგორ მოაჯადოვა, თუ ეს ბავშვი იყო ისეთი თვინიერი, რომ ხმა არ ამოუღია. ამოიყვანა ეს ბავშვი ეტლიდან და თამაშით და მოფერებით შეიყვანა სასტუმროში. სასტუმროს ჰქონდა თავისი საკონდიტრო განყოფილება, სადაც კონიაკები, არყები, შოკოლადები იყიდებოდა. მივიდა და სთხოვა გამყიდველს, მომეცით ოთხი თუ ხუთი ბოთლი კონიაკი, რაღაცა სამი თუ ოთხი შოკოლადის ფილა, აიღო ეს და იქექავს ჯიბეებს და... „ვაიმე... შენ შემოგევლე... ფული... დამავიწყდა, მეორე შარვალში მიდევს ფული, და ეხლა დრო რომ არ დავკარგო, ბიჭები მელოდებიან ზემოთ და აგერ, ბავშვს დაგიტოვებ, ავვარდები უცებ და ფულს ჩამოგიტანო. ნუ, ისე ნიჭიერად უთხრა ეს ყველაფერი, რომ გამყიდველი დააჯერა. იპოვა სათადარიგო გასასვლელი. გამოიხედა, დაინახა რომ ეს ეტლი ისევ დგას, დედა ჯერ კიდევ გასტრონომშია. მე გამომრჩა მეთქვა, რომ მანამდე, სანამ ბავშვს აიყვანდა, უცებ დაწერა: „Ваш ребенок находится в кондитерском отделении". იმდენი ჰუმანიზმი ეყო, რომ გული არ გახეთქოდა ქალს. მივიდა ხელმეორედ, ერთ ფილა შოკოლადში ჩადო ეს წერილი, დატოვა ზრდილობის ამბავში და გაქუსლა. „ერთი გავხედე ცრემლმომდგარმა ამ ეტლს და პირნათელმა გავწიე ძმაკაცებთანო", — ყვებოდა მერე.



ზოსიმე ფოცხიშვილი

#### ჯუმბერ ძიძავა და ლენინი

იყო ჯუმბერ ძიძავა, მსახიობი, საყვარელი კაცი. სამეგრელოდან იყო, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ნაღდი თბილისელი გახდა. მოქეიფე კაცი იყო, იუმორით სავსე.

შემცირებაში მოაყოლეს თეატრში უკვე მერამდენე გაფრთხილების შემდეგ. სმის გამო „დამსახურებასაც" უხსნიდნენ. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ მისი იქ ყოფნაც ველარ აიტანეს. რამდენადაც მე ვიცი, ვიკა სირაძესთან მივიდა.

— ქალბატონო ვიკა, შემამცირეს და რა არის ესო.

— რა ვქნა, ჩემო ჯუმბერ, ძალიან გული მწყდება, მაგრამ ხომ გახსოვთ, ბევრი მცდელობა იყო, ადრეც დააყენეს საკითხი, ჩაერია ხალხი, მეც, მათ შორის, მაგრამ აღარ მოელო ბოლო ამ შენს ლოთობასო.

— კი მაგრამ, ქალბატონო ვიკა,



ჯუმბერ ძიძავა

თეატრიდან ბოზებს, ლოთებს და ინტრიგანებს თუ გააგდებთ, ბულალტრის მეტი აღარ დარჩებაო.

ჯუმბერთან დაკავშირებით მახსენდება კიდევ. კოლმეურნეთა მოედანზე, დენიკინის „პადვალში" იყვნენ, ედიშერ გიორგაძე და ჯუმბერ ძიძავა. იქ ერთი კასრი იდგა, დაღლილი იყო ეს ჩვენი ჯუმბერა, ჩამოჯდა ამ კასრზე. თურმე ნოტიო ყოფილა, დაუსველა შარვალი. წამოდგა, ამოიღო ჯიბიდან გაზეთი, გადაშალა და დააფინა კასრზე. ცოტა ხანში ისევ იგრძნო, რომ დაუსველდა შარვალი. წამოდგა და უყურებს ამ გაზეთს. იმ დღეებში ლენინის დაბადების დღე თუ რაღაც ამდაგვარი თარიღი იყო და გაზეთზე ლენინის დიდი ფოტო იყო დაბეჭდილი. ახლა დასველებულიყო ეს ფოტოც. დახედა ჯუმბერმა და ედიშერ გიორგაძეს მიმართა:

— ედიშერ, ბიჭო, მე ამის ჩათლახი დედა რა ვთქვი... მილიონი მშრომელის გული გაათბო და ჩემს ტ...ს ვერაფერი მოუხერხაო...

#### ბალახული ხაჭაპური

იყო ერთი, კრივაშერა მიშკას ეძახდნენ, დაბადებიდან ჰქონდა კისერი



კრივაშერა მიშა

მონგრეული, ისე, ჯანიანი ბიჭი იყო, ქურთი, რომელიც იდგა და „ბეზდელნიკობდა", ხან იპარავდა, სვამდა, რამდენჯერმე ციხეშიც მოხვდა. იუმორის გრძნობა ჰქონდა მაგასაც. ის მოყვა ერთხელ, როგორ გალახა ხაჭაპური. თურმე რა მოხდა. იდგა მშიერი. დავინახე, რომ ხაჭაპურებია გამოტანილი, ვუყურებო, რამე... არადა, ხუთკაპიკიანი ეგდო ჯიბეში. იფიქრა, სანამ ის ფულს თვლის, ყიდის, ავთესავო რა, ამ ხაჭაპურს. მიტრიალდა მართლაც გამყიდველი და ამან დაავლო ხელი და ჩაიგდო „საროჩკაში". თურმე ეს ხაჭაპური ახალი მოტანილი ყოფილა, ცხელი. ამ დროს მოტრიალდა ის გამყიდველი, შეხედა მიშკას და იფიქრა, ეს ტყუილად არ მოვიდოდა, ალბათ რაღაცის მოპარვა უნდაო. ხაჭაპურზე ვერ იფიქრებდა, უფრო ფულზე ივარაუდა და უცებ გადათვალა, ნახა, რომ ყველაფერი რიგზეა. ჰააა! და უყურებს. მიშკა კიდევ... ისე დასწვა ამ ხაჭაპურმა (ისე გამძლე ტიპი კი იყო, ერთხელ ნასვამმა სამწუთნახევარი გაძლო ნიძლავზე წყლიან ვედროში თავჩაყოფილმა)..., გამყიდველი რომ მიბრუნდა კიდევ, იქვე „პადიეზდში" შევარდა. ამოიღო ეს ხაჭაპური და ხედავს, რომ სულ გაწითლებული აქვს მუცელი, თან ქონიანი. ისე ეწვის, რომ შიმშილი დაავიწყდა, ავდექი, და იმ ზომამდე მივედი, რომ на полном серезе я начал ругать... შენი ასე, შენი ისე, აი, მე შენი შეჭმა მინდოდა, შენ ადამიანი ხარ? მე შენი... მე ესე მშიოდა, მე ამდენი ხანი გელოდებოდი როდის მოგიპარავდი, შენ მე მუცელი დამწვი? აი შენ!.. ურტყავდა და მერე ყვებოდა, თან შემეშინდა, ხომ არ გავგიჟდიო. მერე რა ქენი, შეჭამეო? ჰკითხეს. არა, მაგის დედა, სულ კატებს ვუგდებდიო. აი, ასე გალახა ხაჭაპური.

#### ბალინჯო — ვახტანგი

იყო ასეთი კაცი თბილისში, ობლების პრეზიდენტს ეძახდნენ — შოთა დედაბრიშვილი, შიო არაგვისპირელის შვილი. თვითონ მხატვარი იყო, მარტოხელა. მასაც, მიუხედავად ტკივილიანი, მარტოსული კაცის ცხოვრებისა, იუმორის გრძნობა ჰქონდა. მახსოვს, ამბობდა, როცა ეკითხებოდნენ, როგორ ცხოვრობო, არაო, მე მარტო არ ვარ, მე მყავსო სახლში ბალინჯო ვახტანგი, თაგვი მანანა და კატა ჩარლი, ასე რომ, მთლად მარტო არა ვარო. კი მაგრამ რას გიკეთებენო. პურის ნამცეცებს ვუყრი მანანას, ისიც მოდის და ჩემთან იკვებებაო. ბალინჯოს კი ბამბისგან გავუკეთე საწოლი, მოდის და იძინებსო, მაგრამ ჯერ, სანამ დაიძინებსო, მიკბენს და ისე იძინებსო. კი მაგრამ, მერე, რატომ არ მოკლავო. შოთამ უთხრა, რაო, მოვკლაო? Я свою кровь не пролью.



შოთა დედაბრიშვილი

#### საბჭოთა კავშირის ჰიმნი

ერთი იყო თბილისში აპოლონ მონიავა, მომლხენი, ძველი დარდიმანდი. იცნობდნენ თბილისში, პოპულარული იყო თავისი კოლორიტულობით. ერთხელ, დილის ექვს საათზე, დაინახა ქუჩაში ვიკა სირაძემ, ის მანქანით იყო გამოსული თავის თანმხლებ პირებთან ერთად. იცნობდა ისიც, გააჩერა მანქანა და უთხრა:

— რას შვრები, აპოლონ, საკაიკაცოდ არ ხარ გამოსული შენ ამ დილაადრიან, 6 საათზეო.



აპოლონ მონიავა

მაშინ, იმ პერიოდში რადიორეპროდუქტორები იყო გარეთ გამოკიდებული და აპოლონმა უცებ უპასუხა თავის გასამართლებლად: ქალბატონო ვიკა, სახლში რადიო გამიფუჭდა და გიმნის მოსასმენად ვარ გამოსულიო. ვიკას მოეწონა ხუმრობა და ფულიც კი მისცა არყისთვის.

#### ვასო აბაშიძის უკანალი

ერთი ამბავი მინდა თეატრალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით მოგიყვე. როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ვასო აბაშიძე და საშა იმედაშვილი, რომელი უფრო მაღალი დონის ხელოვანი იყო. ერთი დიდი კომიკოსი იყო, მეორე — ტრაგიკოსი. ერთხელაც დანიძლავდნენ და ვასო აბაშიძემ უთხრა: აი, მე დაგიმტკიცებ, რომ მე უფრო დიდი კომიკოსი ვარ, ვიდრე შენ ტრაგიკოსიო. დავჯდები პირველ რიგში „ოტელოზე" და ვერ ამატირებო. მე კი ისეთ რაღაცას გავაკეთებ, რომ შენ გაგაცინოვო. მართლაც, დაესწრო „ოტელოს" და არც ატირებულა, არც თმები აბურძგვნია. უყურებდა მომღიმარი სახით ამ ტრაგედიას. როდესაც იმედაშვილი თამაშობდა, ვასო აძვრა ზემოთ, პარტერიდან არ ჩანს ეს ადგილი და გაქანებული მონოლოგის დროს, როცა ოტელო იაგოსგან მოწამლული ნელნელა გამოდის მდგომარეობიდან და გიჟდება, ამ მომენტში ვასო აბაშიძემ ჩაიხადა, დაუძახა და უკანალი აჩვენა. ალექსანდრე იმედაშვილმა დაინახა ეს შიშველი უკანალი, თავი ვერ შეიკავა და ახარხარდა. ვასომ ჩამოსძახა: აი, შენი ტრაგიკული თავი ჩემს კომიკურ უკანალშიო. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, მოიგო ეს სანაძლეო. ეს ისტორია ერთმა მათი თაობის მსახიობმა ნუნუ მაჭავარიანმა მიამბო.

#### ეპილოგი საკუთარ თავზე

ჩემს თავზე ერთ რამეს ვიტყვი მხოლოდ. ეს, რა თქმა უნდა, სატირალია, მაგრამ ტირილს ხომ არ დავიწყებ, ღიმილით ვყვები, თუმცა, მწარე სინამდვილეს ვერ გაექცევი. ბოლო დროს ისე მიდის ჩვენი ცხოვრება, რომ მიუხედავად იმისა, რომ თითქოს საკმაოდ პოპულარული ვარ, რუსეთში, მაგალითად, ავტოგრაფებს მთხოვდნენ, გაცნობას მთხოვდნენ, სწორედ გამიგე, მე ვამბობ უბრალოდ ფაქტებს, რომ ასე იყო. ქურდებმაც კი გამაჩერეს ერთხელ და ერთ-ერთმა ქურდმა მთხოვა, ავტოგრაფი ჩამეწერა პასპორტში. მე ვუთხარი, ქაღალდზე დაგიწერ, რათ გინდა პასპორტი გავაფუჭო-მეთქი. Да пиши, паспорт же мой, не твой, вот именно в паспорте я хочу автограф Рамзеса. რამზესს ვთამაშობდი „კანონიერ ქურდებში". დღევანდელ ვითარებაში, მოგეხსენებათ, ყველა როგორ ცხოვრობს და მე, ჩემი ხელფასის გადამკიდე, როგორ ვიცხოვრებ, ძნელი წარმოსადგენი არ არის. ასე არსებობა შეუძლებელია. აი, ასეთ მდგომარეობაში ვარ ერთხელ და პატარა გოგონებმა გამაჩერეს, თქვენი ავტოგრაფიო, მთხოვეს, ნაყინს ჭამდნენ. მე კი ერთი პური მქონდა სანატრელი, არ ვიცოდი, როგორ მეყიდა და თურმე, ამ დროს ისევ პოპულარული ვარ. მივეცი ავტოგრაფი. გადამეხვივნენ, ჩვენ ძალიან გვიყვარხარო და წავიდნენ. ისტერიული სიცილი ამიტყდა, აი, ამასთან დაკავშირებით დავწერე ჩემს თავზე ეს პატარა ლექსი:

„გულით კეთილი გახლავარ,
ფულით საკმაოდ ღარიბი,
ეკრანზე ქურდებს ვთამაშობ,
ცხოვრებაში ვარ არიფი"...

მოამზადა
ლელა კოდალაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი გულმხურვალე შევარდნაძისტებისათვის



**თარაზულად:** 3. გფრ-ის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ედუარდ შევარდნაძის დიდი მეგობარი; 5. სახურავი მასალა; 11. პარლამენტის წევრი, ანუ... 12. ჭეშმარიტი შევარდნაძისტის პასუხი სამ კითხვაზე: ვინ დაგვიბრუნებს აფხაზეთს, სამაჩაბლოს? ვინ გაამთლიანებს ქართველ ერს? ვინ წამოაყენებს დაცემულ საქართველოს (დეფისი პირობითად მოცილებულია); 13. ავტორი ანტიზვიადური სტრიქონებისა (პოეტური გამოცანა ნაღდი შევარდნაძისტებისათვის): „ვისაც შედევრი არ უყვარს სხვისი, ის პრეზიდენტად არ უნდა დასვა"; 15. ადგილი, რომელთანაც 1815 წლის 18 ივნისს ინგლისის და პრუსიის ჯარებმა გაანადგურეს ნაპოლეონ I-ის არმია; 17. აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული 21 წლის ქართველი ახალგაზრდის, მიშიკო ქორიძის მეტსახელი; 19. სამკურნალო ხსნარის შეყვანა სხეულის ღრუებსა და ქსოვილებში; 22. გამოჩენილი ფერმწერი, რომელმაც თითქმის ასი წელი იცოცხლა; 23. ედუარდ შევარდნაძის დედის სახელი; 27. ქართველი მხატვარი, ავტორი დიდ სამამულო ომში პოპულარული პლაკატისა: „დედა-სამშობლო გვეძახის!" 29. მანქანების, მექანიკური იარაღებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა; 33. ბედი, იღბალი; 36. კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება წარმოებაში; 39. ცნობილი კინორეჟისორი ქალი, რომელიც (ნაღდი შევარდნაძისტის რწმენით) დიდ დახმარებას უწევდა და უწევს ედუარდ შევარდნაძეს „პროვინციალური ფაშიზმის" წუმპიდან საქართველოს ამოთრევაში; 40. ხე მომჟავო-მოტკბო ნაყოფით; 41. ბგერის არეკვლა; 42. მარშალი, ნაპოლეონ I-ის ყველა ომის მონაწილე; 43. მავნებელი მწერი; 44. ჩვენებითი ნაცვალსახელი; 45. ედუარდ შევარდნაძის სამშობლო; 46. სახელმწიფო ევროპაში; 47. მიზნის, სურვილის ასრულების რწმენა, მოლოდინი.

**შვეულად:** 1. ედუარდ შევარდნაძის წიგნი (სიტყვების შუაში წერტილია დასმული); 2. გამოჩენილი ფილოსოფოსი, რომელმაც დადო და შეასრულა კიდეც პირობა: „თუ ქართველი ხალხი პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას აირჩევს, მე წავალ ჩემი ხალხის წინააღმდეგ"; 4. ის, ვინც ერთ-ერთი ხელის მომწერია კავკასიაში მშვიდობის დასამყარებლად 1992 წლის 3 სექტემბერს გაფორმებულ მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტზე; 6. ხარების ბრძოლის მთავარი მონაწილე; 7. ადამიანი, რომელიც XIII—XVII საუკუნის ინგლისში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში იტაცებდა ან ყიდულობდა ბავშვებს, ამახინჯებდა მათ და ყიდდა მდიდართა სახლებში ხუმარებად; 8. გეოგრაფიული ამოცანა ნაღდ შევარდნაძისტებს: საიდან ამოდის მზე საქართველოში? 9. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 10. საზოგადოებრივი ალტაცების გამომწვევი საჯარო წარმატება; 14. ადვილი, ესე იგი... 16. ცელქი ანუ... 17. ედუარდ შევარდნაძის ახლო მეგობარი და თანამებრძოლი, ტერორისტის მიერ მოკლული; 18. ქალაქი საბერძნეთში; 20. ნოდარ დუმბაძის რომანის პერსონაჟი; 21. ბერძენი ფილოსოფოსი; 24. ხელმოწერის კლიშე, ბეჭედი; 25. რუსული ესტრადის სუპერ-ვარსკვლავი; 26. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის წევრი 1948-58 წლებში; 28. ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მეგობარი, ამჟამად პატიმარი; 30. „ნეტარის" ეპითეტით ცნობილი დასავლეთის ეკლესიის მამათაგანი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, რომლის სახელობის ორდენიც გადაეცა ედუარდ შევარდნაძეს; 31. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; 32. ქალაქი, რომლის კომპარტიის რაიკომის I მდივნად 1961-63 წლებში მუშაობდა ედუარდ შევარდნაძე; 34. მოწყობილობა ცხენის სამართავად; 35. მგზნებარე შევარდნაძისტი ქალი პარლამენტიდან; 37. წვრილი ფული, ფრანკის მეასედი; 38. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალი — საქართველოს დიდი მეგობარი (სამხედრო ამოცანა ჭეშმარიტი შევარდნაძისტისათვის).

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ბაბილონი; 6. აცტეკები; 7. პარიტეტი; 8. კოალიცია; 10. კადმიუმი; 12. ტბა; 14. ბოტიჩელი; 16. შანკრი; 17. ნექტარი; 18. ნადიმი; 19. ამუდარია; 21. არი; 22. ინფარქტი; 26. ინტერვიუ; 27. პრინციპი; 28. ჩასტუშკა; 29. გუმიგუტი.

**შვეულად:** 1. შუბერტი; 2. კანიტო; 3. ფიცროი; 4. კვერცხი; 7. პედიკიური; 9. აპენდიქსი; 10. კლარა; 11. იონჯა; 12. ტაქსა; 13. აბატი; 14. ბზიკი; 15. იამბი; 20. არტისტი; 23. ალიყური; 24. ჯირკვი; 25. არაუკო.

## ნათია ქათამაძის ხსოვნას

მზე ისევ ამოვა და ჩავა. ისევ გათენდება და დაღამდება, ისევ შეცვლის შემოდგომას ზამთარი... მხოლოდ შენ, შენ, პატარა ნათია, აღარ გაგათბობს მზის სხივები და დედის ხელების სითბო... ისევ ოთხ წელიწადში ერთხელ დადგება შენი დაბადების დღე — ოცდაცხრა თებერვალი, მაგრამ შენ ველარასოდეს დაესწრები მას... ვინ დაიჯეროს, რომ შენ აღარ ხარ. შენ პატარა ანგელოსო! სუფთა, უმანკო და უსაზღვროდ კეთილო. ვინ გაუძლოს შენი ხმის და სიცილის მონატრებას... რატომ?.. რატომ?.. რატომ ასე პატარა, ჯერ ხომ მხოლოდ თექვსმეტი წელი იცოცხლე.



რა მიწა დავიყაროთ თავზე, როგორ ჩამოვიხოკოთ სახე... რა ვქნათ... ვინ დააჯეროს დედაშენი, რომ შენ წახვედი, წახვედი სამუდამოდ და ველარ მოხვალ... როგორ გაგიმეტოთ მიწის მისაყრელად შენ. ასე პატარა და მზის სადარი გოგონა...

ო! რა სასტიკი და დაუნდობელია სიკვდილი, ო! რა უძლურია სიტყვები მწუხარების გამოსახატავად, ო! რა ცარიელია ქვეყანა უშენოდ! ღვთის შობელო, შეივედრე და შეიფარე პატარა ნათიას უმანკო სული!

ამერიკული კომპანიის დამოუკიდებელი დისტრიბიუტერი გთავაზობთ უნიკალური მცენარეული კვების პროდუქტებს, რომლებიც ყოველგვარი შიმშილისა და დიეტის გარეშე დაგეხმარებათ ზედმეტი წონისაგან განთავისუფლებაში, პროდუქტები ხელს უწყობს სისხლში ქოლესტერინისა და ცხიმების შემცირებას, წმენდს ორგანიზმს მარილებისაგან და ყოველგვარი მავნე ნარჩენებისაგან. ხსნის ნევროზს, ალერგიას, ეხმარება ადამიანს თავისი სასიცოცხლო და მორალური ტონუსის ამაღლებაში.
ტელ. 96-33-58

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ბელა ებანოიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №26/4-444